# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 23 მარტი. 2018 წ. №59 (8460), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


**იაკობ ლეჟავა:**

## რა ძალა შეაჩერებს დაგორებულ ლოდს? ⑤






**თავშესაფრის მინიჭების ევროპული სააგენტოდან მიღებული ცნობის შესახებ**



პოლიტიკური პამფლეტი

③ **ნუგზარ ფოფხაძე:**

## ამბიციური ქვეყნის კოხტაპრუწა ბრიყვები

## ქართული კომპანიები ბაზრულად ბაზრობენ და ერთმანეთს ჭამენ! ④

## „ქართული მარშის“ წევრებს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს!

„რუსთავი-2“-ის თანამშრომლებზე განხორციელებული თავდასხმის გამო დაკავებულ „ქართული მარშის“ წევრებს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

ამ საქმეზე ხუთი პირია დაკავებული და ხუთივე მათგანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სამი მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას, სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებას და წინასწარ შეთანხმებით ჯგუფურ ხულიგნობას გულისხმობს. სამივე მუხლი სასჯელის სახით პატიმრობას ითვალისწინებს. რაც შეეხება ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას, თბილისის საქალაქო სასამართლო სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს.



**მიხეილ ჯიბუტი:**

## ლევან თედიაშვილში გამქღავნებული ქართველი ერის იდენტობა ⑥ ⑦



**ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის**

## დოქსოპულოებო, თქვენ დედა გყავთ?!

**საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებით ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ წამყვანს, გიორგი გაბუნიას არ დაურღვევია ქარტიის მეშვიდე პრინციპი, რომლის თანახმადაც „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.“**

გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ განცხადება შემოიტანა თორნიკე კაკალაშვილმა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ქარტიის მეშვიდე პრინციპს არღვევდა 18 მარტს გადაცემა **P. S.**-ის ერთ-ერთი სიუჟეტის წარდგენისას წამყვანის მიერ ნათქვამი ტექსტი: „იესო ქრისტემ დიდი შეცდომა დაუშა, როდესაც საქადაგებლად 2000 წლის წინ ისრაელში მოვიდა. უნდა მოსულიყო ასე 2-3 წელიწადში აჭარაში და ჯვარზე კი ველარ გააკრავდნენ, იმიტომ რომ ჯვრის დასამზადებლად რეგიონში ხე აღარ იქნებოდა დარჩენილი. ამ დროისთვის ბიძინას ეზოში იქნება გადარგული ყველა ხე“. საბჭომ მსჯელობის შემდეგ მიიჩნია, რომ სადავო მასალაში მეშვიდე პრინციპი დარღვეული არ ყოფილა. გადაწყვეტილების დასაბუთებული ნაწილი მოგვიანებით გამოქვეყნდება.

ინფორმაციას ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ავრცელებს.

* * *

**ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის „გენიოსი“ წევრების ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი გამოთქმა მიესადაგება: „დოქსოპულოებო, თქვენ დედა გყავთ?!“**

## ზუგდიდი: „ნაციონალები“ ერთმანეთს დაერივნენ!



**ზუგდიდის საკრებულოს სხდომაზე „ევროპული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ბათლომე შელიას „ევროპული საქართველოდან“ და ანაკლიის მაჟორიტარი დავით შელიას „ენმ“-დან, ერთმანეთთან დაპირისპირების შედეგად, ფიზიკური დაზიანებები აქვთ მიყენებული. ბათლომე შელიას ცხვირის, ხოლო დავით შელიას — თავის არეში.**

დაპირისპირება კი კამათს მოჰყვა, რომელიც „ევროპული საქართველოს“ მიერ ახალი ფრაქციის ჩამოყალიბებას უკავშირდება.

## სავჩენკოს 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება



**უკრაინის რადას დეპუტატი ანტონ გერაშენკო აცხადებს, რომ ნადეჟდა სავჩენკოს, კიევის ცენტრში ტერაქტის ორგანიზებაში ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, არა სამუდამო, არამედ 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

# ბელარუსის პრეზიდენტი თბილისში

**საქართველოში ოფიციალური ვიზიტით გუშინ ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჩამოვიდა. ალექსანდრე ლუკაშენკოს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი დახვდა. ბელარუსის პრეზიდენტთან ერთად თბილისში ქვეყნის სამთავრობო დელეგაციაც იმყოფება.**

ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტის ფარგლებში გუშინვე გაიმართა მნიშვნელოვანი შეხვედრები, რომლებზეც საქართველოსა და ბელარუსს შორის ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ბელარუსის პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან მიხაელ რუსისთან მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა იმ პოტენციალზე, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს ვაჭრობის, ერთობლივი საწარმოების დაფუძნებისა თუ სხვა ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან სფეროებში. შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და ბელარუსის უმაღლესი ხელისუფლებების განსაკუთრებულ წვლილს ორი ქვეყნის პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით.



ბელარუსის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმიც გაიმართა, რომელიც დიმიტრი ქუმსიშვილმა და მიხაელ რუსიმ გახსნეს. როგორც ფორუმზე აღინიშნა, ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებისა და პარტნიორული თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლის თვალსაზრისით.

* * *

**ფორუმის ფარგლებში შედგა ქალაქ მინსკის ბიზნესსექტორისა და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლების შეხვედრა სექტორულ ქართულ კომპანიებთან და ბელარუსული პროდუქციის გამოფენა.** ასევე, ადგილზე ქართულ და ბელარუსულ კომპანიებს შორის 29 ხელშეკრულება გაფორმდა. ღონისძიებაზე დასასწრებად საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში რეგისტრირებული იყო საქართველოს ბიზნესსექტორის 190-მდე წარმომადგენელი და ჩაინიშნა 500-მდე ორმხრივი შეხვედრა.

„საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმში 64-ზე მეტი ბელარუსული კომპანიის 117-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ძალიან მაღალია ინტერესი ქართული კომპანიების მხრიდანაც. ვიზიტის ფარგლებში 8 მლნ ნახევარ დოლარზე მეტი ღირებულების ხელშეკრულებებს მოეწერა ხელი. ბოლო სამი წლის განმავლობაში მესამე ფორუმია და ინტერესი ორივე ქვეყნის კერძო სექტორებიდან ძალიან მაღალია“.

2018 წლის იანვარში საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის სავაჭრო ბრუნვა 91 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის, ექსპორტმა საქართველოდან 47 პროცენტით მოიმატა. ამასთანავე, 2018 წლის იანვარ-თებერვალში ბელარუსიდან საქართველოში ტურისტების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 19 პროცენტით არის გაზრდილი.

## ბელარუსი-საქართველო: ურთიერთობები უმჯობესდება

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმი გახსნა. ბელარუსის ბიზნესდელეგაცია საქართველოში ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ვიზიტის ფარგლებში იმყოფება.

ფორუმს ასევე ესწრებოდა ბელარუსის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მიხაელ რუსი. ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას დიმიტრი ქუმსიშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და ბელარუსს შორის მრავალწლიან მეგობრობას, რომელიც ბოლო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა.



ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი ძალზედ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებისა და პარტნიორული თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლის კუთხით.

**„ორ ქვეყანას შორის ეფექტური თანამშრომლობის ძალიან კარგი მაგალითია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი ლიფტების ამწყობი ერთობლივი საწარმოს წარმატებული პროექტი, რომელმაც ეს დღეებია დაიწყო მუშაობა. მოხარული ვარ, რომ საწარმოს გახსნა შესაძლებელი გახდა ბელარუსის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში“,** – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმში მონაწილეობას იღებს 100-მდე ბელარუსული კომპანია. ისინი დაინტერესებული არიან საქართველოში პარტნიორების მოძიებით და წარმოადგენენ შემდეგ სექტორებს: კვების მრეწველობა, მანქანა-დანადგარების წარმოება, მშენებლობა, ლოგისტიკა და ტურისტული სააგენტოები.

## პირველად საქართველოში სამგზავრო და სატვირთო ლიფტების წარმოება დაიწყება

**ქართულ-ბელარუსული კომპანიების თანამშრომლობით, საქართველოში პირველად ლიფტების წარმოება დაიწყება – თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამგზავრო და სატვირთო ლიფტები თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის „ანალიზ-ხელსაწყოს“ ბაზაზე აეწყობა.**

ახალი საწარმო პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ მიხაილ რუსიმ დაათვალიერეს, რომელიც ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში საქართველოში იმყოფება.

ლიფტების საწარმო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, კომპანია „მოგილევ ლიფტმაშისა“ და კომპანია SIS-ის ერთობლივი თანამშრომლობით შეიქმნა. საწყის ეტაპზე, საწარმოს თვეში 40-60 ლიფტის დამზადება შეეძლება.

**როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა საწარმოში ვიზიტისას განაცხადა, ძალიან მნიშვნელოვანია ერთობლივ საწარმოში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჩართულობა, რაც სამეცნიერო პოტენციალისა და, ამასთან, პროფესიული განათლების განვითარების შესაძლებლობას იძლევა. „ჩვენ ვსაუბრობთ კომპლექსურ განვითარებაზე, რაც არ არის მხოლოდ ლიფტების წარმოება, ეს არის ამწე მოწყობილობების წარმოების განვითარებაც. დაგეგმილია, რომ საქართველოში წარმოების ლოკალიზაცია იყოს 71 პროცენტი შემდეგი წლის ბოლოსთვის. ეს ნიშნავს ახალ სამუშაო ადგილებს, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ადგილზე შევძლებთ როგორც ადგილობრივი წარმოების პოტენციალის განვითარებას, ასევე საბოლოო ჯამში, შევძლებთ იმას, რომ ექსპორტზეც ვიფიქროთ“** – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

## ინვესტორთა საბჭოს მორიგი სხდომა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში ინვესტორთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.**



საბჭოს სხდომაში გუშინ პირველად მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილემ კატარინა მატერნოვამ და შეხვედრის მონაწილეებს ევროკავშირის ახალი საგარეო საინვესტიციო გეგმა წარუდგინა.

განხილულ იქნა, თუ რა სარგებელს მიიღებს საქართველო ევროკავშირის ინიციატივის ფარგლებში, რომელიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში 4.1 მილიარდი ევროს (დაახლოებით, 12 მილიარდი ლარი) გამოყოფას ითვალისწინებს. კატერინა მატერნოვამ აღნიშნა, რომ ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული 4-პუნქტიანი გეგმა წარმატებული, დემოკრატიული რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით კი, საქართველო რეგიონში სამაგალითოა.

თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილეს, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას რეფორმების მიმდინარეობის პროცესში საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.

# ქვეყნის მთავარმა პროკურორმა საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებს უპასუხა



**თურქეთის პროკურატურის მოთხოვნის შესაბამისად მიმდინარეობს ექსტრადირების პროცესი**

მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადირების საკითხის განხილვა თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე გამოძიების საფუძველზე ხდება. ამის შესახებ საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ გუშინ განაცხადა.

**„ექსტრადირების მოთხოვნით თურქეთის პროკურატურამ მომართა საქართველოს. ამ შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურა წარმოადგენს მხარეს და თურქეთის რესპუბლიკის გამოძიების საფუძველზე ხდება ექსტრადირების პროცესის განხილვა და ეს პროცესი გრძელდება“,** – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

დემირელის კოლეჯის ყოფილ მენეჯერი მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქალაქო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართო.

* * *

**არის გარკვეული საკითხები, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსში, რასაც სჭირდება დახვეწა, ეს ეხება ნარკოტიკული საშუალებების ოდენობებს და გარკვეულ სანქციებს,** –აცხადებს ქვეყნის მთავარი პროკურორი ნარკოპოლიტიკის საკითხზე ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარში. მისი თქმით, ნარკოპოლიტიკის მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარეობს საკანონმდებლო მუშაობა, რომელშიც მთავარი პროკურატურაც არის ჩართული.

* * *

აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით გაგზავნილ მოთხოვნებზე აზერბაიჯანის კომპეტენტური ორგანოებიდან პასუხი ჯერ არ მიგვიღია – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

**„მე შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ათეულობით საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა. ჩვენ სამართლებრივი დახმარებები გვაქვს გაგზავნილი აზერბაიჯანის კომპეტენტურ ორგანოებში, ვითხოვთ მუხთარლის დაკითხვას და ამ დაკითხვაზე ჩვენი წარმომადგენლის დასწრებას. სამართლებრივი დახმარება გვაქვს გაგზავნილი ასევე, რომლითაც ვითხოვთ იმ განაჩენს, რომელიც აზერბაიჯანში დადგა მუხთარლის მიმართ, რათა დავადგინოთ ის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც აზერბაიჯანული პროკურატურა მუხთარლის ედავება. ჩვენ არ გვაქვს ამ ეტაპზე მიღებული პასუხები აზერბაიჯანის კომპეტენტური ორგანოებიდან და ველოდებით პასუხს,** – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.






# ამბიციური ქვეყნის კოხტაპრუწა ბრიყვები

**მართლაც, სად და როგორ ჩამოყალიბდნენ ასეთი... ბრიყვები? კიდევ კარგი, რომ „სხვა“ ქვეყანაზე, შორეულსა და ამბიციურზეა საუბარი და არა ჩვენს პატარა (მაგრამ, რომ დაუთოვდეს და გასწორდეს, ვეებერთელად გადაიქცევა) ქვეყანაზე, რომელიც დაზღვეულია ასეთი კოხტაპრუწა და უტვინო ტიპაჟისგან...**

**ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲠᲐ... ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲓᲐᲪ(!) ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲨᲘ „ᲛᲝᲩᲐᲚᲘᲩᲔ“, ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲗ „ᲒᲠᲫᲔᲚᲘ“ ᲓᲐ ᲭᲙᲣᲘᲗ „ᲛᲝᲙᲚᲔ“ ᲑᲠᲘᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲔᲚᲣᲠᲛᲐ ᲜᲐᲑᲘᲯ-ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲨᲝᲠᲡ ᲛᲧᲝᲤᲗ, ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ „ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲖᲔ“ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ...**

ამ პატარა ქვეყნის ცხვირაწეულ ჩინოვნიკებს, ეტყობა, წარმოდგენა არა აქვთ იმის შესახებ, რომ ტრამპმა (მერკელმა, მაკრონიმ და სხვ.) მშვენივრად იცის, ვინ არის პუტინი, ისიც, უტყუარად ესმის (სხვებსაც), რომ „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“!..

ჰოდა, ორი დღე ითმინა ამ შენმა ტრამპმა და... მაინც დაურეკა და მიულოცა მას ხელახალი გაპრეზიდენტება. მანამდე, მერკელი, მაკრონი და სხვა ძლიერნი ამა ქვეყნისა, ერთმანეთს ასწრებდნენ, თუ ვინ მიულოცავდა აგრესორ და მოძალადე ოკუპანტს წინასწარ ცნობილ გამარჯვებას...ესეც შენი „უპრინციპო“ ტრამპი! (და სხვებიც!)

რა, პოზიცია უარყო?
პუტინი უცებ შეიყვარა?
მიზანი შეცვალა?
სანქციები გააუქმა თუ შეამსუბუქა?
რა თქმა უნდა, არა!
მაგრამ...

აშშ სახელმწიფო ინტერესები, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესები, გუშინდელი თუ ხვალინდელი დღის ამერიკული ინვესტიციების ბედი აიძულებენ ტრამპს და სხვასაც: მერკელს. მაკრონს, მით უმეტეს დიდი ჩინეთის ლიდერს (პირველობა რომ არავის დაუთმო), ისევე, როგორც ნორმალური, პროფესიული განათლებისა და გამოცდილების მქონე სხვა სახელმწიფო ლიდერებს, დაიცვან დიპლომატიაში მიღებული დაწერილი თუ დაუწერელი წესები, დიპ. „პროტოკოლის“, დიპ. ტაქტის და ზოგადი თუ დიპ. ეთიკის ნორმების სრული დაცვით, პირადი ემოციებისგან დაცლილი მილოცვები გაუგზავნონ (ესაუბრონ) ვეებერთელა ქვეყნის მეთაურს.





ასეა ეს!
და ასეც უნდა იყოს!

აი, შორეული, ამბიციური და პატარა ქვეყნის „ნარცისების“ საბავშვო ბაღში კი როგორ არის საქმე: ტერეზა მეის (და სხვა აცუნდრუკებულ ტიპაჟს) კუდს უქიცინებენ?

იმ „დაულაგებელ“ ქვეყანაში, ორი კვირით ადრე საგანგებო წერილით „ეხვეწებოდნენ“ პუტინს, შევხვდეთ, მოვაწესრიგოთ ჩვენი ურთიერთობებიო და... ახლა კი, მგონი, პრეზიდენტად მისი არჩევა ლამის არ ცნონ, „ნე ვიჟუს“ პოზა აქვთ დაჭერილი და...

ჰოდა, ისმება ლეგიტიმური შეკითხვა: ეს რომელიღაც შორეულ ამბიციურ და პატარა „უმნიშვნელოვანესი“ ქვეყნის ოფიციალურ სტრუქტურებში საიდან მოხვდნენ ასეთი „ახლომხედველნი“, სად ისწავლეს პროფესია და გაეცვნენ მსოფლიო პრაქტიკას? სად გაიზარდნენ, ვისი დამრიგებლობით ეზიარნენ დიპლომატიის ანა-ბანას, ისეთს, რომ არ იციან, ვიდრე სადმე ელჩად თავისიანს დანიშნავენ, მანამდე აგრემანით უნდა მიმართონ „იმ“ ქვეყანას... მართლაც, სად და როგორ ჩამოყალიბდნენ ასეთი... ბრიყვები? კიდევ კარგი, რომ „სხვა“ ქვეყანაზე, შორეულსა და ამბიციურზეა საუბარი და არა ჩვენს პატარა (მაგრამ, რომ დაუთოვდეს და გასწორდეს, ვეებერთელად გადაიქცევა) ქვეყანაზე, რომელიც დაზღვეულია ასეთი კოხტაპრუწა და უტვინო ტიპაჟისგან...

აბა რა, ისინი, ანუ, ჩვენი ჭკვიანი ორმეტრიანი გრძელი, ანუ, მაღალი და მოკლე (ანუ, ვეებერთელა) ჭკუის მქონე „ნარცისები“ ხომ ქობალიების მზის ქვეშ გაიზარდნენ და მათი ხელმძღვანელობით ისწავლეს არა მარტო „პურის ცხობა“, არამედ შეიძინეს ...დიდი დიპლომატიური გამოცდილებაც!

**ᲰᲝᲓᲐ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲕᲐᲠ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲛ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ... ᲠᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ, ᲐᲠ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ ᲘᲛ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲝᲒᲐᲓᲡᲐᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲡᲭᲕᲐᲚᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲕᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲝᲑ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲕᲘᲛᲔᲓᲝᲕᲜᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲐᲪ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ, ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲔ, ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ..**

ტაში, კუკური!!!!

**ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ**

## სამშენებლო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე ჯარიმა გაათმაგდა

— ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ დედაქალაქის მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება ძალაში დღეიდან შედის.



**„მინდა, მადლობა გადავუხადო პარლამენტს პროდუქტიული თანამშრომლობისთვის. იმედი მაქვს, დღითი დღე მოიკლებს დასაჯარიმებელი ობიექტების რიცხვი და გაიზრდება უსაფრთხოების სტანდარტებისა და სამშენებლო ნორმების დაცვის მაჩვენებელი. ჯარიმები გაათმაგდა 3000 ლარიდან გახდა 30 000 ლარი. ვიმედოვნებ, რომ სამშენებლო სექტორი გახდება უფრო უსაფრთხო როგორც დასაქმებულებისთვის, ისე მიმდებარედ დასახლებული ადამიანებისთვის და სამშენებლო პროცესი ნაკლებ დისკომფორტს გამოიწვევს.**

**სტატისტიკას თუ გადავხედავთ, კარგად ჩანს, რომ სამშენებლო ობიექტებზე დაღუპულთა რიცხვმა მოიმატა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების უფლებები იყოს დაცული,“** — განაცხადა კალაძემ.

## „სითი პარკის“ თანამშრომლები მერიაში დასაქმდებიან

კომპანია „სითი პარკის“ 120 თანამშრომელი თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმდება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

**„მინდა, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელს მამუკა კობახიძეს ვთხოვო, რომ ის 120 თანამშრომელი, რომელიც „სითი პარკში“ მუშაობდა, აყვანილი იქნას სამსახურში. ესენი არიან ძირითადად ინსპექტორები და არ უნდა დაზარალდნენ მათი კომპანიის ქმედებების გამო. პირიქით, მათი გამოცდილება გამოყენებული იქნება პარკირების სისტემის მართვისთვის.**



**თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელს მამუკა კობახიძეს ვავალებ, დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ზომები იმისთვის, რომ საპარკინგე ინფრასტრუქტურა უმოკლეს ვადებში მოეწყოს. ვგულისხმობ დახაზვას, საპარკინგე ნიშნების მოწყობას და ასევე, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, თუ არის რაიმე საჭირო, დამატებით არის რაიმე შესაძენი, რომ უპრობლემოდ გავაგრძელოთ მუშაობა 10 აპრილიდან, გაკეთდეს ყველაფერი ამისთვის“,** — განაცხადა კალაძემ.

## თბილისში სტრიტ არტის სხვადასხვა პროექტები განხორციელდება

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერი კახა კალაძე დედაქალაქში სტრიტ არტის სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავს. მან მერის მოადგილეს სოფიო ხუნწარიას დედაქალაქში იმ ადგილების განსაზღვრა დაავალა, რომელიც სამომავლოდ უნდა მოიხატოს.

**„მოგეხსენებათ, ეს არის თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი ფორმა და თვითგამოხატვის საშუალება. ჩვენ ამ მიმართულებით ერთი პროექტი უკვე განვახორციელეთ და საკმაოდ წარმატებული იყო. ვგულისხმობ გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის მოხატვას. მინდა, დავავალო სოფიო ხუნწარიას, არქიტექტურის სამსახურთან ერთად მოიძიონ ქალაქში კონკრეტული ადგილები, რაც სამწუხაროდ, ბევრი გვაქვს — უსახური შენობები, კედლები, ხიდები და მიწისქვეშა გადასასვლელები. გთხოვთ, გამოყოთ ასეთი ადგილები და მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ამ პროექტის განხორციელება. ახალგაზრდებს მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ თავიანთი ნიჭი მოახმარონ ქალაქს და გთხოვთ, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოთ ამ სამუშაოების განხორციელება“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

## ბანკომატები უსინათლო პირებისთვის

**საქართველოს ბანკმა ბანკომატების უსინათლო პირებისთვის ადაპტირების შესახებ განცხადება გააკეთა. ადაპტირების პროექტი, საქართველოში პირველად, განხორციელდა საქართველოს ბანკის ფონდის „სიცოცხლი ხე“-ს ორგანიზებით.**

უსინათლო პირებს, შესაძლებლობა აქვთ, სრულიად დამოუკიდებლად ისარგებლონ საქართველოს ბანკის ბანკომატებით. ადაპტირების პროცესში მოხდა ბანკომატების ხმოვანი პროგრამით უზრუნველყოფა და არსებული სისტემის HTML ფორმატზე გადაყვანა, რაც თავის მხრივ, ტექნიკური მახასიათებლების გაძლიერებასაც ნიშნავს. შესაბამისად, ბანკომატზე დამონტაჟდა ყურთსასმენის განსათავსებელი მოწყობილობები, შეიცვალა ბანკომატის სცენარი და გახმოვანდა მენიუ. ბარათის, თანხისა და ქვითრის ჭრილის მანიშნებლები კი ბრაილის წარწერიანი სტიკერებით ჩანაცვლდა. ბანკომატების ადაპტირების პროცესში უშუალოდ იყვნენ ჩართული უსინათლო პირები, რამაც შესაძლებელი გახადა, ბანკომატით განხორციელებული ტრანზაქციები მათ საჭიროებაზე მაქსიმალურად ყოფილიყო მორგებული.

**აღსანიშნავია, რომ უსინათლო პირებისათვის ბანკომატით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით მათ საჩუქრად გადაეცემათ ყურთსასმენები. ადაპტირებული ბანკომატითა და ხმოვანი პროგრამით პირველად სარგებლობის შემთხვევაში, ბანკომატზე ყურთსასმენების მიერთების გზით, მათ საშუალება ექნებათ, მოისმინონ ბანკომატით სარგებლობის ინსტრუქცია.**





# ქართული კომპანიები ბაზრულად ბაზრობენ და ერთმანეთს ჭამენ!

## მარკეტებში პროდუქტის დახლებზე განთავსება 5 000-დან 35 000 ლარამდე ღირს!

**„მაღაზიები ქართული პროდუქტის თაროზე განთავსებაში ფულს არ უნდა ითხოვდნენ“,** - ამის შესახებ „კომერსანტს“ „გურიელის“ დამფუძნებელმა **მიხეილ ჭკუასელმა** განუცხადა. როგორც ჭკუასელი აღნიშნავს, ხარისხიანი პროდუქტის წარმოებისთვის აუცილებელია ღია და თავისუფალი კონკურენტული გარემო.

გურიელის დამფუძნებელი ამბობს, რომ მომხარებლის ყურადღება ქართული პროდუქტის მიმართ ყოველდღიურად იზრდება. ჭკუასელის თქმით, დღეს ბაზარზე არის ისეთი ქართული პროდუქტები, რომლებმაც იმპორტული მთლიანად ჩაანაცვლა.

**„ყოველდღიურად ჩვენ ვგრძნობთ, რომ ქართულ პროდუქციაზე უფრო მეტი ადამიანია დადებითად განწყობილი , ანუ ნდობა ქართული ბრენდების მიმართ მნიშვნელოვნად იზრდება. წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორებულია“,** — განაცხადა მიხეილ ჭკუასელმა.

ბიზნესმენმა ყურადღება კონკურენციის მნიშვნელობაზეც გაამახვილა. მისი თქმით, ხარისხიანი პოდუქტის წარმოებას მსხვილ ბრენდებთან კორნკურენცია განაპირობებს.

**„მეზობელი სახელმწიფოების წარმოებულ პროდუქტებთან ჩვენ კონკურენციაში არ უნდა ვიყოთ. კონკურენციაში უნდა შევიდეთ ისეთ ბრენდებთან, რომლებსაც მსოფლიო აღიარება აქვთ“,** — განაცხადა მიხეილ ჭკუასელმა.

„გურიელის“ დამფუძნებელი „კომერსანტთან“ საუბარში ასევე ამბობს, რომ სავაჭრო ცენტრები დამწყებ კომპანიებს განვითარებაში ხელს უნდა უწყობდნენ.

**„მსხვილ სავაჭრო ცენტრებში ვნახავთ, რომ თაროებზე ქართულ პროდუქტზე მეტი ადგილი უცხოურ პროდუქტს აქვს დაკავებული. ყველა თანაბარ მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ.**

**როდესაც გვეუბნებიან, რომ მაღაზიაში შესვლა და პროდუქტის განთავსება გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული, ეს არასწორია. წინააღმდეგობა ამ თვალსაზრისით ნამდვილად არსებობს“,** — განაცხადა მიხეილ ჭკუასელმა.

„გურიელის“ მოსაზრებას იზიარებს კომპანია „გემუანის“ პროექტების მენეჯერი **ზაქარია ყურაშვილიც**. მისი განცხადებით, ზოგიერთ მსხვილ სავაჭრო ობიექტში კოლოსალურ თანხებს ითხოვენ, რომლის გადახდა მცირე და საშუალო ბიზნესს არ შეუძლია. ყურაშვილის თქმით, სწორედ ეს უშლის საქართველოში წარმოებულ პროდუქციას განვითარებაში ხელს და ამ შემთხვევაში მარკეტები უფრო გულისხმიერები უნდა იყვნენ.

მისივე განცხადებით, მაღალი ფასი პროდუქციის გაძვირებასაც იწვევს.

**„რა თქმა უნდა, ეს პრობლემა დგას, რადგან არის ქსელები და მაღაზიები, რომლებიც დახლებზე პროდუქციის განთავსებაში კოლოსალურ თანხებს ითხოვენ. დღეს საქართველოში იმდენი ქართული პროდუქციის წარმოება არ ხდება, რომ მის განთავსებაში ამხელა თანხებს ითხოვდნენ.**

**ეს ბიზნესს აფერხებს და მის განვითარებას ხელს უშლის. ჩვენ კომპანიასაც ჰქონია შემთხვევა, როდესაც დახლზე განთავსებაში წლის განმავლობაში 35 000 მოგვთხოვეს. რა თქმა უნდა, ამ თანხას ვერ გადავიხდიდით და ამიტომ იმ ობიექტზე შესვლა ვერ შევძელით.**

**ასეთ დროს მარკეტების პასუხი მარტივია — თუ არ გინდა ნუ შემოგაქვს. კარგი იქნებოდა, რომ ქვეყანაში ქართულ პროდუქციას ეხმარებოდნენ და წელიწადში 35 ათას ლარს არ გთხოვდნენ. შემდგომ პროდუქციაც ძვირდება და მომხმარებლისთვის საინტერესო აღარაა“,** — განმარტა ზაქარია ყურაშვილმა.

ყურაშვილის თქმითვე, აქციზის გადასახადი იმპორტირებულ პროდუქციაზე უფრო ნაკლებია, ვიდრე ადგილობრივზე.

აღნიშნულ პრობლემაზე „კომერსანტი“ ახლადდაფუძნებული კვების სავაჭრო ობიექტის „მხოლოდ ქართულის“ დამფუძნებელსაც ესაუბრა. როგორც **ჯონი მანწკავა** აცხადებს, მათთან ქართული პროდუქციის წარმოებას უპირატესი ადგილი უკავია. განსაკუთრებით კი მათ, ვისაც თანხების გადახდა არ შეუძლიათ, სწორედ ასეთი კომპანიები „მხოლოდ ქართულში“ დახლზე პროდუქციას უფასოდ ათავსებენ.

**„ზოგიერთი მარკეტი 5 000 ლარს ითხოვს პროდუქციის დახლზე განთავსებაში და ეს კომპანიებისთვის პრობლემაა. თავად მარკეტს ევალება იმის განსაზღვრა, რომელ მეწარმეს, რა თანხას მოთხოვ და ის კონკრეტული ბიზნესი რამდენად შეძლებს დიდი თანხის გადახდას“,** — განმარტა მანწკავამ.

**კომპანიის დამფუძნებლის თქმით, „იმისათვის, რომ ეს სიტუაცია გამოსწორდეს, ერთი იდეის განხორციელებაა საჭირო. კერძოდ, მაისი ქართულ თვედ უნდა გამოცხადდეს და ჩვენი პროდუქცია ერთი ან ორი თვის განმავლობაში იმპორტირებულთან შედარებით უპირატესობაში იყოს. მცირე მეწარმეებს მარკეტებმა პროდუქცია უფასოდ უნდა შეატანინონ და გაყიდვების მაჩვენებელს შეხედონ, ხოლო შემდგომ განსაზღვრონ, მათთვის პროდუქციას რამდენად დიდი მოგება მოაქვს“,** — აღნიშნა ჯონი მანწკავამ.

შეჩერებული წარმოება „კოკოტაურის“ ხელმძღვანელი **ვლადიმერ შერვაშიძე** აღნიშნულ პრობლემაზე „კომერსანტთან“ 2017 წელს საუბრობდა. ამ პრობლემასთან ერთად შერვაშიძე წლების განმავლობაში აქცენტებს სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც აკეთებდა. მაგალითად, როგორიცაა ბაზარზე მსხილი უალკოჰოლო სასმელი კომპანიების მიერ მისი ბრენდის დაბლოკვა.

**„ფინანსური პრობლემების მიზეზი სავაჭრო ქსელების და კონკურენტი კომპანიების „ბორჯომის და „წყალი მარგებელის (ნაბეღლავი) არაკეთილსინდისიერი მოქმედებებია. ეს კომპანიები სავაჭრო ქსელებსა და მარკეტებს ფულს უხდიან იმაში, რომ მათ ქსელში სხვა წყალი არ შევიდეს. მე რომ წყალს შევიტან, დახლის ქვეშ არის დამალული. ასე ხდება აჭარაშიც და სრულიად საქართველოში. ეს კომპანიები ფინანსურად ძლიერები არიან, მე მაგათ ვერ მოვუგებ“,** — აცხადებდა შერვაშიძე.

**ლიკა გურაბანიძე**

# საქართველოს სიტუაცია მძიმეა, სომხეთზე რომ არაფერი ვთქვათ, თურქეთი, ირანი და აზერბაიჯანი მოსკოვის ორბიტაზე მოძრაობენ

**რუსეთისგან მიღებული უსტარის შემდეგ პრემიერმა აღნიშნა, რომ საუბრისთვის რუსეთმა ღია სივრცე დატოვა. თუმცა ეს ღია სივრცე სადამდე იქნება ღია, უნდა ველოდოთ თუ არა რუსეთისგან მიპატიჟებას, თუ აგრესიულად დავაპატიჟებინოთ თავი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, ამის შესახებ არავინ საუბრობს.**

როგორი უნდა იყოს ჩვენი შემდგომი ნაბიჯები რუსეთთან?! ამის შესახებ ანალიტიკოსებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.



ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ სიტუაცია უკიდურესად მძიმეა, დასავლეთი უკვე დაეჯახა რუსეთს, ამიტომ საქართველოს მხრიდან თამაში, რომ ხან აქეთ ვართ და ხან იქით, აღარ გამოვა. ჩვენ უკვე ვიქნებით ან დასავლეთის მხარეს, ან აღმოვჩნდებით რუსეთის გავლენის სფეროში. სხვა ალტერნატიული ვარიანტი საქართველოსნაირ მოწყვლად რეგიონში გამორიცხულია.

**„ადრე თუ გვიან საქართველოს წინაშე ეს საკითხი პირდაპირ ქირურგიული დანის ფონზე დაისმება და მოგვთხოვენ, ან აქეთ ვიყოთ, ან იქით. ჩვენი გეოსტრატეგიული ფონი უმძიმესია. აქამდე ჩვენ ვახდენდით ლავირებას, რადგან დასავლეთი ნაკლებად აკრიტიკებდა რუსეთს და ცდილობდა, რაღაცნაირად თავიდან აეცილებინა დაპირისპირება. ახლა კი დასავლეთი უცებ გადავიდა ხისტ ფორმებზე და პირდაპირ დაპირისპირებაზე, მით უმეტეს, სკრიპალის მოწამვლის მერე. ამიტომ სიტუაცია საკმაოდ რთულია. გიორგი კვირიკაშვილს არ ვამტყუნებ, ნებისმიერი პრემიერი ასე მოიქცეოდა და ამ წერილს დაწერდა. ფაქტობრივად, რუსეთმა ჩვენ გვაიძულა, ზუსტად ასეთი პათოსით გამსჭვალული წერილი დაგვეწერა. საქართველოს ბერკეტები არ გააჩნია, კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში სიტუაცია ჩვენს საწინააღმდეგოა. სომხეთს თავი რომ დავანებოთ, თურქეთი, ირანი და აზერბაიჯანი, ფაქტობრივად, მოსკოვის ორბიტაზე მოძრაობენ. საქართველო ერთადერთია, რომელიც წინააღმდეგობას უწევს რუსეთს ამ ალყაშემორტყმულ სივრცეში. მოსკოვი თანდათანობით ხუთავს, ახრჩობს კავკასიას თავის მარწუხებში. როცა ანაკონდა შემოგვეხვევა, რა უნდა ვქნათ? მოსკოვი-ანკარა-თეირანი — ასეთი ფორმატი უკვე შექმნილია. მოსკოვი-ბაქოთეირანი — ეს ფორმატიც მოქმედებს. ამ დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ოთხეულის ფორმატში მიიღო მონაწილეობა თურქეთ-საქართველო-ირან-აზერბაიჯანის მონაწილეობით. სწორედ ასეთი კონფიგურაციაა და ამ მახეში გავებით.**

**გავოცდი, როცა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ასეთ ფორმატში იღებდა მონაწილეობას. გაიხსენეთ, რომელ არაფორმალურ გაერთიანებაში გაწევრდა საქართველო? გაიხსენეთ ისიც, რომ სწორედ თბილისში უნდა ჩატარდეს ამ ოთხეულის შეხვედრა. ეს რა გამოდის? გამოდის, რომ ჩვენ რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორებთან — სომხეთთან და ირანთან შევდივართ ალიანსში რეგიონული ფორმატის მიხედვით?“** — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

მისივე განმარტებით, მართალია, თურქეთი ნატოს წევრია, მაგრამ ყველას ახსოვს ერდოღანის ბოლოდროინდელი მოქმედებები, რომელმაც რუსეთის სტრატეგიული შეიარაღება შეისყიდა. ვახტანგ მაისაია აღიარებს, რომ პირადად იგი პროდასავლური და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომხრედ რჩება, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ჩვენ გამუდმებით გავიძახით, დასავლეთი! დასავლეთი მაგრამ რეალობა სხვას ამტკიცებს. მიხეილ ჯანელიძის ჩასვლაც ბაქოში ამის პირდაპირი გამოხატულება იყო. სხვათა შორის, კვირიკაშვილიც რომ ჩავიდა ბაქოსა და ერევანში, ესეც შემთხვევით არ მომხდარა, რადგან ბაქოსა და ერევანს პირდაპირი კავშირები აქვთ მოსკოვთან.

**„რატომ ჩადიოდა ბაქოსა და ერევანში? სწორედ ამ ვიზიტებს მოჰყვა მისი წერილი რუსეთის ხელისუფლების სახელზე. ასე რომ, როგორც წესი, ყველაფერი წინასწარ მზადდება“.**

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ **„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“,** — სწორედ ეს არის საქართველოს არსი. ამიტომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ ისეთნაირად მომართულნი, თუ რას იტყვის რუსეთი. უბრალოდ, ჩვენ რაც ვიცით და, როგორც ვიცით, სწორედ ის უნდა ვაკეთოთ.

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ჩვენ რას გავაკეთებთ. მთელი ჩვენი პოლიტიკა ასე უნდა იყოს აწყობილი და არა აქვს მნიშვნელობა, რას იტყვის რუსეთი. კვირიკაშვილი ძალზე სწორად იქცევა. ის ამბობს, რომ ჩვენ მზად ვართ ღია სალაპარაკოდ, ოღონდ ეს ლაპარაკი ჩვენს უკანდახევას სულაც არ ნიშნავს. ჩვენ, როგორც კაცები, ადამიანები უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს. საქართველოში მთავარია ღირსება, სიკეთე, ხოლო კვირიკაშვილს ღირსების თვალსაზრისით უკან არ დაუხევია“,** — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

**მანანა ნოზაძე**




## ქართული კომპანიები გერმანიაში დაგეგმილ SPOGA+GAFA-ში მონაწილეობენ

**2-4 სექტემბრს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გარე ავეჯის გამოფენაში — „Spoga+Gafa“.**

**აღნიშნული გამოფენა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქ. კიოლნში გაიმართება, რომელშიც ყოველწლირად 2 000-ზე მეტი კომპანია იღებს მონაწილეობას. საერთაშორისო ღონისძიება, ქართველ მეწარმეებს შესაძლებლობას მისცემს საკუთარი პროდუქტი გააცნონ ფართო აუდიტორიას, სათანადო ბიზნესკავშირები დაამყარონ პოტენციურ დამკვეთებთან და საერთაშორისო მასშტაბით მოახდინონ ქართული ნაწარმის პოპულარიზაცია.**

**მონაწილეობის მიღების სურვილის შემთხვევაში, მეწარმეები უნდა დაუკავშირდნენ სააგენტოს ცხელ ხაზზე: 1525 არა უგვიანეს 30 მარტისა..**

**ჩვენთან არსებულ პარადოქსულ ფაქტებზე ამ ოთხიოდე თვის წინათ ვწერდი („ვირო, მადლი!..“, — „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 დეკემბერი, 2017“), მაგრამ დღეს რაზედაც ვაპირებ კომენტარის გაკეთებას, ასეთ პარადოქსზედაც თუ მომიწევდა საუბარი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.**

დღეს რომ მსოფლიო არეულია დიქტატურასთან მებრძოლი „დემოკრატი“ დასავლეთის გამოისობით, და ვინ სად გარბის — ზოგი თავის საშველად, ზოგიც — ლუკმაპურის საშოვნელად, ყველამ ვიცით და აღარ გვიკვირს ევროპას მილიონობით მიგრანტი რომ ჰყავს შესეული, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთიდან. საქართველოდან რომ ორი მილიონია ასევე მოდებული დანარჩენ მსოფლიოს, რომლის მსგავსი უბედურება, ანუ მამაპაპური მიწიდან მასობრივი აყრა, ოდნავ მიახლოებულიც კი, არასდროს დატრიალებულა ჩვენს თავზე, ეს ხომ ვიცით და ვიცით. აბა, მაშ რა მოხდა განსაკუთრებული, რამ გამაკვირვა პირადად მე ასე ძალიან? ახლახან თავშესაფრის მინიჭების ევროპული სააგენტოდან მიღებულმა ცნობამ? როგორც ევროპულ სააგენტოში აცხადებენ, **„2018 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა 1859 აპლიკაცია შევიდა**. და ეს არის ყველაზე მაღალი ყოველთვიური მაჩვენებელი 2014 წლის შემდეგ“. მართალია, არ გვეუბნებიან, თუ რომელი ხელისუფლების ხელში გამოვიარეთ „საუკეთესო“ წლები და თვეები, მაგრამ, სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებას (2017 წლის მარტის ბოლოს) მსწრაფლ მოჰყვა ევროპაში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის 35%-იანი(!) ზრდა იმავე წელს, ხოლო 2018 წლის იანვრის მონაცემმა უკვე 100 %-ით(!) გადააჭარბა ოთხი თვის წინანდელ — 2017 წლის სექტემბრის მაჩვენებელს.

არა, ამ ცნობას არ გამოუწვევია ჩემში დიდი გაოცება, ან რატომ უნდა გამოეწვია, რამე ახალი გავიგე, თუ რა! სახტად დავრჩი იმავე სააგენტოდან მიღებული მეორე ცნობით: „იანვრის მონაცემებით, **საქართველო თავშესაფრის მაძიებელთა ქვეყნების ექვსეულშია(!)** სირიის, ერაყის, ავღანეთის, ნიგერიისა და პაკისტანის შემდეგ“. 2018 წლის იანვარში ყველაზე მეტი განაცხადი შესულია სირიიდან — 5932 აპლიკაცია, ერაყიდან — 3803, ავღანეთიდან — 3136, ნიგერიიდან — 2732 და პაკისტანიდან — 2313 განაცხადი.

რაო, მეექვსე ადგილმა არ დამაკმაყოფილა? ჰოც და არაც! მართალია, მსოფლიო მასშტაბით ექვსეულში ყოფნა პატარა საქართველოსთვის ფრიად „საპატიოა“, მაგრამ ჩვენ ხომ ნებისმიერ „სახეობაში“, კარგია იგი თუ ცუდი სახელმწიფოს იმიჯისთვის, ყოველთვის პირველობისთვის ვიბრძვით (ევროპაში წარმატებული ჩვენი საოპერო ხელოვნება იქნება ეს, თუ ევროპელებისთვის კიდევ უფრო გასაოცარი, ხელოვნებამდე აყვანილი ბინების გატეხვის ტექნიკა). ამიტომ, ცოტათი „გულიც კი დამწყდა“, მაგრამ უცებ გამინათდა გონება და დავინახე, რომ დაუმსახურებლად გვართმევენ პირველ ადგილს! თუმცა კი, ვერ გავიგე, რაში დასჭირდა ევროპას ჩვენი „დაჩაგვრა“, ჩვენ ხომ მარტო ერთი პირველი ადგილი კი არა, გამარჯვება კიდევ ორ „ნომინაციაშიც“ გვეკუთვნოდა!

აბა, განა ვინმეს გაუგია, რომ შობადობას ან სიკვდილიანობას, ციხეებში პატიმართა რაოდენობას ან, თუნდაც, ავტოავარიათა შემთხვევების რაოდენობას აბსოლუტურ რიცხვებში გამოხატავდნენ მხოლოდ? ცხადია, არა! სარწმუნო სტატისტიკური დასკვნის გასაკეთებლად, რომელსაც სახელმწიფო დაეყრდნობა და სამოქმედო პოლიტიკასაც დასახავს, მოფიქრებულია გადაანგარიშება მოსახლეობაზე, უხშირესად, ყოველ 100 000 მცხოვრებზე, ავტომანქანის მიერ გარბენილ ყოველ 100 000 კმ-ზე და ა.შ.

**რა მდგომარეობაა ამ მხრივ თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებით? აი, ეს არის მართლაც საინტერესო და გასაოცარზე გასაოცარი:**




# რა ძალა შეაჩერებს დაგორებულ ლოდს?

## თავშესაფრის მინიჭების ევროპული სააგენტოდან მიღებული ცნობის შესახებ

**1. ყოველი 100 000 სირიელიდან (სირიის მოსახლეობის საერთო რაოდენობა: 17 800 000) თავშესაფარი 33,3 ადამიანმა ითხოვა;**

**2. 100 000 ერაყელიდან (მოსახლეობა: 37 056 000) — 10,3 ადამიანმა;**

**3. 100 000 ავღანელიდან (34 656 000) — 9,0 ადამიანმა;**

**4. 100 000 ნიგერიელიდან (186 053 000) — 1.5 ადამიანმა;**

**5. 100 000 პაკისტანელიდან (207 775 000) — 1.1 ადამიანმა;**

**ხოლო 100 000 საქართველოს მოქალაქიდან (მოსახლეობა: 3 714 000) — 50.0 ადამიანმა(!), ანუ 1.5-ჯერ მეტმა, ვიდრე სირიიდან; 5-ჯერ მეტმა, ვიდრე ერაყიდან, 5.5-ჯერ მეტმა, ვიდრე ავღანეთიდან, 35-ჯერ მეტმა, ვიდრე ნიგერიიდან და 45-ჯერ მეტმა, ვიდრე პაკისტანიდან!**

> **მე ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას. ეს ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, აი, მთიდან რომ დაგორდება და ველარ გააჩერებ. აი, ამას ჰგავს დღევანდელი მდგომარეობა.**
>
> **ილია II**

კი მაგრამ, ეს როგორ?! იმ სახელმწიფოებიდან, სადაც 15(!) წელიწადზე მეტია განუწყვეტელი ომებია (სირიაში — 7 წელია);

სადაც მილიონობით ადამიანი დაიღუპა და კვლავაც იღუპება;

სადაც ლამის ყოველდღე ტერორისტული აქტები ხდება და ჰაერიდანაც იბომბება მშვიდობიანი მოსახლეობა;

სადაც, თითქმის ყველა ქალაქი გულისმომკვლელ ნანგრევებად, ბეტონის ჩონჩხებადაა(!) ქცეული და საცხოვრებელს ვინ დაეძებს, ელემენტარული თავშესაფარიც აღარ არსებობს;

სადაც ჰუმანიტარული კატასტროფაა;

ამ სახელმწიფოებიდან ბევრად ნაკლები, ჩვენთან შედარებით ჯერადობით(!) ნაკლები ადამიანი როგორ ითხოვს თავშესაფარს ევროპაში?! ეს ხომ პარადოქსია, თანაც, — აუხსნელი პარადოქსი, რადგანაც ისეთი ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, რომელიც თითით საჩვენებელია მთელ რეგიონში (საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მინიჭებული რეიტინგების მიხედვით);

სადაც დემოკრატიული წყობაა და არა — დიქტატურა;

სადაც სიტყვის თავისუფლება დაცულია;

კორუფცია, დაბალ დონეზე მაინც, აღმოფხვრილი;

სადაც კერძო საკუთრებას აღარ ართმევენ;

სადაც უდანაშაულო ადამიანს ნარკოტიკებს და იარაღს, შეიძლება ითქვას, აღარ უდებენ;

სადაც, ამასთან ერთად(!), ისეთი „ჰუმანისტი“ პრეზიდენტი გვყავს, რომ მკვლელებს და ნარკოტიკებით მოვაჭრეებსაც კი იწყალებს;

სადაც ისეთი „ჰუმანური“ მართლმსაჯულება გვაქვს, რომ მილიონების მიმთვისებლებს და გამფლანგველებს არათუ არ იჭერენ, არამედ მათი ქონების კონფისკაციასაც არ ახდენენ და...

რაც ყველაზე მთავარია, სახელმწიფოში, სადაც არც ომია და, საბედნიეროდ, არც ტერორისტული აქტები;

მაინც უფრო მეტი, ბევრად მეტი ადამიანი გარბის საზღვარგარეთ თავშესაფრის საძიებლად, ვიდრე იმ ქვეყნებიდან, რომელთა მოსახლეობას ათეულობით წელია, ცრემლი არ შეშრობია თვალზე!

ყველაფერთან ერთად, **ჩვენ ვართ ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო ამ ექვსეულში, და ერთადერთი სახელმწიფო, სადაც ომი, საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს,** სადაც...

(სიტყვამ მოიტანა და, პირველობას გვართმევენ ავღანეთშიც, როცა სამხედრო კონტინგენტის რაოდენობის მიხედვით ხან მეექვსე ადგილზე გვაყენებენ — ამერიკა, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალიის შემდეგ და, ხანაც — მეოთხეზე. არადა, მუდამ პირველ ადგილზე ვიყავით — 15 წლის წინათაც, როცა ამერიკის 90 000 სამხედრო მოსამსახურე იბრძოდა და 1561 ქართველი, და — ამჟამადაც, როცა 11 000 ამერიკელია დარჩენილი და 870 ქართველი. თუ ამ რაოდენობებს ყოველ 100 000 მცხოვრებზე გადავიანგარიშებთ, გამოვა, რომ აშშ-ის ყოველი 100 000 მოქალაქიდან ავღანეთის ე.წ. „მისიაში“, დასაწყისში 27.3 სამხედრო მონაწილეობდა, ახლა კი, მხოლოდ — 3.3; საქართველოდან კი, რომლის მოსახლეობა 89-ჯერ(!) ნაკლებია ამერიკისაზე — 42.0 და 23.4 შესაბამისად(!), რაც იმას ნიშნავს, რომ **ამჟამად, პროცენტულად(!), 7-ჯერ მეტი ქართველი იბრძვის ავღანეთში, ვიდრე ამერიკელი!**).

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რისი გულისთვის ვიკლავთ თავს ავღანეთში და რატომ გარბის ხალხი ასეთი „წარმატებული“ სახელმწიფოდან? უმიზეზოდ ხომ არაფერი არ ხდება?! მიზეზი, გაჭირვება და მცდარი პოლიტიკური კურსია, თუ უსამართლობის განცდა და ნიჰილიზმი, უიმედობა? ძნელია გადაჭრით რამის თქმა, ალბათ, ყველაფერი ერთად და კიდევ რაღაც, ის რაღაც, რამაც ჩვენზე უკეთ ჩახედულ და ბევრისმნახველ ადამიანს, ჩვენი მდგომარეობით (გნებავთ, მსოფლიოს მდგომარეობით, რაც კიდევ უფრო საგანგაშოა!) უკიდურესად შეძრწუნებულ ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს, რომელიც სულ იმედს გვისახავდა გულებში, ბოლოს და ბოლოს ათქმევინა ის სიტყვები, რომლის მსგავსი არასოდეს გაგვიგია მისგან 2018 წლის მარტამდე: **„მე ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას. ეს ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, აი, მთიდან რომ დაგორდება და ველარ გააჩერებ. აი, ამას ჰგავს დღევანდელი მდგომარეობა“.**



რა გადაგვარჩენს, რა ძალა შეაჩერებს დაგორებულ ლოდს? შეაჩერებს კი?! საკითხავი და სამსჯელოც, სწორედ ეს არის!

**იაკობ ლეჟავა**

## ამერიკის კონგრესი საქართველოს 105 მილიონ დოლარზე მეტს გამოუყოფს!



**„საქართველოს დახმარების სახით გამოეყოს სულ მცირე 105 325 000 დოლარი, ხოლო უკრაინას — სულ მცირე 420 700 000 დოლარი“ — ამის შესახებ ნათქვამია 2018 ფინანსური წლისთვის აშშ-ის ბიუჯეტის პროექტში. ბიუჯეტის პროექტზე კენჭისყრის ჩატარების ბოლო ვადა პარასკევია, რის შემდეგაც ბიუჯეტს ხელი აშშ-ის პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს.**

## საქართველოს 50-მდე მოქალაქის დეპორტაცია გერმანიიდან



**უვიზო რეჟიმის პირობების დარღვევისთვის გერმანიიდან საქართველოს 50-მდე მოქალაქის დეპორტაცია განხორციელდა. დეპორტირებულები თბილისში სპეციალური რეისით ჩამოფრინდნენ. დეპორტირებულებს შორის ბავშვებიც არიან. საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო. „გერმანიის ტერიტორიიდან განხორციელდა არალეგალურად ჩაბარებული საქართველოს მოქალაქეების დეპორტირება. მიზეზი არის ის, რომ საქართველოს მოქალაქეებს არა აქვთ თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზი“, — განუცხადა ჟურნალისტებს კომპანია „ფრონტექსის“ წარმომადგენელმა ირმა ცირამუამ, რომელიც პროცესის მონიტორინგს ახორციელებს.**

# ლევან თედიაშვილში გამჟღავნებული ქართველი ერის იდენტობა

**ქართველების ეროვნული იდენტობა მათ სამოქალაქო იდენტობაზე უფრო მყარად ჩამოყალიბებული ფენომენია. ეს გასაგებიცაა – ქართველებს ისტორიულად ძალიან დიდხანს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის გარეშე უწევდათ არსებობა!**

დღესაც, როგორც დაპყრობილ საქართველოში, ისე რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის საქართველოებში არსებული ქართველობა (ვინც ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა), აგრეთვე სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველები, თავიანთ იდენტობას ეროვნულის საფუძველზე ახდენენ. ქართველების ეროვნული ხასიათი კავკასიელობის ფენომენშია გამოქანდაკებული და თავმოყრილია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

**მრავალ კეთილ თვისებათა შორის, ქართველისთვის უმნიშვნელოვანესია სახელის მოხვეჭა, სასახელო საქმის ქმნა, კაცთმოყვარეობა და ქცევის მოტივაციაში მატერიალურთან შედარებით სულიერისთვის უპირატესობის მინიჭება** (ეს იმდენად ღრმადაა მოცემული ქართველის ბუნებაში, რომ დღეს ბევრი ის ქართველიც კი, ვინც მამონას ემონება, ცდილობს, თავი ისე წარმოაჩინოს, თითქოს მისთვის მთავარი სულიერია), **მისაბაძი მაგალითის შექმნა**.

ერის იდენტობა ეფუძნება პიროვნებათა სასახელო ქცევებს, რომელთაც იხსენებენ, რომლითაც ამაყობენ, რომელშიც ხედავენ ადამიანები თავიანთ გენეტიკურ თუ სულიერ კავშირს.

ჩვენი ერის ისტორია საქართველოსთვის თავდადების ისტორიაა. ყველა ეპოქა აღსავსეა ასეთი ადამიანებით.

მაგალითებად ქართველი იხსენებს **ცოტნე დადიანს,** კოხტასთან შეთქმულების (1245 წელი) გამჟღავნებისას მომხდარ ამბავს, მონღოლ ნოინისგან მეგობრების დასახსნელად მის თავგანწირვას. ოსმანებთან ბრძოლის დროს (1609 წელი) საარაკოა თევდორე კვერთელის (თევდორე მღვდლის) გმირული საქციელი. ღირსების დაცვის გაკვეთილია ქართველებისთვის ის ფაქტი, როდესაც რუსი გენერალი **ივანე ლაზარევი** „უპატიურობისათვის“ ხანჯლით განგმირა მეფე გიორგი მეთორმეტის ქვრივმა, დედოფალმა **მარიამ ციციშვილმა** (1803 წლის 12 აპრილს). სულიერების, სამშობლოს სიყვარულის მწვერვალია ქრისტიანობისთვის ირანის შაჰის აბას I-ის მიერ წამებული ქეთევან დედოფალი (შირაზი, 1624 წლის 12 სექტემბერი) და სხვა მრავალი ცნობილი თუ უცნობი გმირი და წმინდანი. ყველა ოჯახს, ყველა გვარს, ყველა სოფელს, ყველა ქალაქს ჰყავს ის ადამიანები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ქართულ იდენტობას.

დიდება მათ სახელებს!

ქართველების მამულიშვილობის მაგალითები არ ეტევა საქართველოს არც დღევანდელ და არც ისტორიულ საზღვრებში.

პროფესორი **იოსებ ჟორდანია** დაიღუპა რიო-დე-ჟანეიროში თვითმფრინავის კატასტროფის დროს (1962 წლის 20 აგვისტო), როდესაც თავისი მაშველი რგოლი უბილეთო მგზავრ გოგონას დაუთმო და გადაარჩინა...

ასე იყო გუშინ, ასეა დღეს და ასე უნდა იყოს ხვალ.

დღეს ეს მომენტი, რა თქმა უნდა, გართულებულია. რით განსხვავდება ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა ბევრი თანამედროვე ქართველი დედისგან?

ხერხეულიძეებს დედა სამშობლოსთვის – საქართველოსთვის ზრდიდა, თანამედროვე ქართველი დედა ძირითადად (გამონაკლისებია აფხაზეთში, სამაჩაბლოში, სამშობლოსათვის სხვა ადგილებში მებრძოლთა, უპირველეს ყოვლისა კი – დაღუპულთა დედები) შვილებს ზრდის თავისთვის! აქედან გამომდინარე, აღარ მუშაობს რაფიელ ერისთავის მიერ ქართველებში დანახული ფორმულა: **„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“!**

**საქართველოდან რამდენია უცხოეთში წასული და მაინც, დარჩენილებიდანაც ყოველი მეოთხე უცხოეთში წასვლას გეგმავს...**

**ახალგაზრდებს ეშინიათ: დრო არ გაექცეთ ისე, რომ ვერ გამოსცადონ თავიანთი შესაძლებლობა...**

**საშუალო ასაკისანი შეშინებულები არიან, რომ მოხუცებულობამ არ მოუსწროთ და ისეთ დღეში არ ჩავარდნენ, რა დღეშიც მათი მშობლები და მშობლების თაობაა.**

**მოხუცები კი სრულ დემორალიზაციას განიცდიან მათი ცხოვრების გაბიაბრუების გამო – მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ის, რითიც ბოლო 25 წლის მანძილზე გამდიდრდნენ საქართველოში, ყველაფერი, რაც პრივატიზებას დაექვემდებარა, მათი შექმნილია.**

ერთი სიტყვით, ყველაფერს ემატება ფასი, გარდა ადამიანისა!

ნათქვამიდან გამომდინარეობს გამოსავალიც: ქართველის ფასი საქართველოში უნდა გაიზარდოს, ქართველი საქართველოში ყველაზე ძვირად უნდა ფასობდეს, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში!

ჩვენ გვერდით ჯერ კიდევ ბევრია ასეთი „ჭკუის საკითხავი“ და მაგალითების შემქმნელი პიროვნება.

**ერთი ასეთი კაცია ლევან თედიაშვილი.**

მას 2018 წლის 15 მარტს 70 წელი შეუსრულდა. ის 1948 წლის 15 მარტს, საგარეჯოში სოფელ თაქლაში დაიბადა.

მასზე ბევრია სათქმელი, მაგრამ დავიწყებ იმით, რომელიც ქართველთა იდენტობისთვისაა მნიშვნელოვანი.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, როდესაც უფროს თაობაში შენახული ეროვნული იდენტობა იკარგება ახალგაზრდებში, ხოლო სამოქალაქო იდენტობა ერთნაირად ჩამოუყალიბებელია ქართველთა ყველა თაობაში.

მხედველობაში მაქვს ერთი ცნობილი შემთხვევა. მას, ჩვეულებრივ, **ლევან თედიაშვილის** ცხოვრების აღწერისა და მისი უამრავი წარმატებების შემდეგ ასახელებენ. მე კი ვთვლი, რომ **ლევან თედიაშვილის** ეს საქციელი მისი ცხოვრების მთავარი კრედოა – მის მიერ რუსთაველის ანდერძის შესრულებაა.

ვგულისხმობ **ლევან თედიაშვილსა** და ირანის 35-ე და ბოლო შაჰს – მოჰამედ რეზა ფეჰლევს (Mohammad Reza Pahlavi – ირანის შაჰი იყო 1941 წლიდან 1979 წლამდე, გარდაიცვალა 1980 წელს) შორის მომხდარ ამბავს. საქმე ეხება იმ შემთხვევას, როცა თედიაშვილმა თეირანში, შაჰის დაარსებულ ტურნირზე ბევრი ირანელი ფალავანი, მათ შორის, შაჰის თანდასწრებით სტადიონზე, მისი ფავორიტი ფალავანიც დაჯაბნა. თანაც მასთან პირველი გამარჯვება არ ჩაუთვალეს და გადაათამაშებინეს – თედიაშვილმა ესეც მოიგო.

ამ გამარჯვებაში იყო მისტიკა.

აქ ხომ ცხოვრებაში განხორციელდა ის სცენა, რაც მოცემული იყო რეჟისორ **ლეო ესაკიას** ფილმში: „ბაში-აჩუკი“, რომელიც 1956 წელს გამოვიდა ეკრანზე და სპარსეთის წინააღმდეგ 1659 წლის კახეთის აჯანყების შესახებ **აკაკი წერეთლის** მიერ 1895-1896 წლებში დაწერილი ისტორიული რომანის კინოეკრანიზაციაა.

**კახელი თედიაშვილის ამ გამარჯვებაში უდავოდ მიუძღვით წვლილი ზაალ ერისთავს, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, ფშაველებს, ხევსურებს და მრავალ ქართველს – საქართველოსთვის თავგანწირულებს!**

ირანის შაჰი ჭიდაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც იმითაც იყო, ალბათ, გამოწვეული, რომ მამამისი – რეზა ფეჰლევი, ირანის 34-ე შაჰი, მაზანდარიდან იყო წარმოშობით, სადაც თავის მხრივ მათი ოჯახი მოხვდა, წყაროების მიხედვით, „კავკასიაში რუსების შემოსვლის შემდეგ“ (კონკრეტულად საიდან – ეს ვერ დავადგინე. იქნებ საქართველოდან?).

შაჰმა თურმე **ლევან თედიაშვილი** თავისთან იხმო, სამახსოვროდ ბეჭედი გადასცა და თან აღსასრულებლად ერთი სურვილის დასახელება სთხოვა.

**ლევან თედიაშვილმა** შაჰს იმხანად ციხეში მყოფი ირანელი მოჭიდავის გათავისუფლება სთხოვა!

შაჰმა პირობა შეასრულა!

ასე შეიქმნა ქართველი კაცის ზნეობრიობის, ვაჟკაცობის, სულიერების თედიაშვილისეული მაგალითი.

**ლევან თედიაშვილს** ამით არ დაუმთავრებია თეირანის „დაპყრობა“.

1973 წელს თეირანში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობაში თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ და სამბოს სახეობებში.

**ლევან თედიაშვილმა** აქ თავისუფალ ჭიდაობაში ოქროს მედალი მოიპოვა. შემდეგ მოხდა ისე, რომ მის წონით კატეგორიაში სპორტსმენის გამოუყვანლობისთვის სანქციების თავიდან ასაცილებლად ლევანს სთხოვეს სამბოშიც გამოსულიყო. იგი ჩემპიონის წინა ტიტულის მოპოვებიდან სამ დღეში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი სამბოშიც – ერთ კვირაში მსოფლიო ჩემპიონი ორ სხვადასხვა სახეობაში. დამეთანხმებით, ეს სასწაულებრივი, ჯერ გადაულახავი წარმატებაა და საეჭვოა ოდესმე შესაძლებელი გახდეს!



ალბათ, აქ დიდი მნიშვნელობა იქონია იმანაც, რომ სამბო საბჭოთა კავშირში შექმნილი ჭიდაობაა (სახელწოდება რუსული ტრანსკრიფციითაა და ნიშნავს – თვითდაცვა იარაღის გარეშე – самозащита (самооборона) без оружия), რომლის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო ქართული ჭიდაობაა. თედიაშვილის ეს გამარჯვება ქართული ფალავნობის ინსტიტუტის მნიშვნელობის გამოხატულებაა.

**ლევან თედიაშვილის** უმთავრესი შედეგები: თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური (1972,1976 წწ.), ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი (1971, 1973, 1974,1975 წწ.), სამგზის ევროპის (1974, 1976, 1978 წწ), საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და 1973 მსოფლიო ჩემპიონი სამბოში.

**ლევან თედიაშვილის** სპორტული ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

არასრულფასოვანია მასზე ინფორმაცია სოციალურ ქსელშიც – დღემდე არ არის აღნუსხული მის მიერ მიღწეული შედეგები, მისი წვლილი ჭიდაობის განვითარებაში.

სამწუხაროდ, ცალკეულ ეპიზოდებადაა მიმოფანტული მისი ფენომენალური შედეგები.

**ლევან თედიაშვილმა 1974 წელს** მსოფლიო ჩემპიონატზე 3 წამში მოუგო შვეიცარიელ **რაფაელ მარტინეტის** (Raphael Martinetti), რომელიც 2002-2013 წლებში იყო საერთაშორისო ფედერაციის (FILA) პრეზიდენტი.

**ლევან თედიაშვილს ფენომენალური შედეგი აქვს წონითი კატეგორიების ცვლილებებისადმი ადაპტაციის თვალსაზრისითაც. ჯერ არავის მიუღწევია ამდენ სხვადასხვა (82, 90, 100 კილოგრამ) წონით კატეგორიებში მისნაირი წარმატებებისთვის. მარტო ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონობის მიხედვით, ეს შედეგი ასე გამოიყურება: 82 კგ. წონით კატეგორიაში ის გახდა ოლიმპიური (1972წ.) და მსოფლიო (1971წ.) ჩემპიონი, 90კგ. წონით კატეგორიაში ის გახდა ოლიმპიური (1976წ.) და სამგზის მსოფლიო (1973, 1974, 1975 წწ.წ.) ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და მსოფლიო ჩემპიონი სამბოში (1973 წ.), 100კგ. წონით კატეგორიაში კი მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი (1978წ.).**

**სხვადასხვა ინფორმაციით, ლევან თედიაშვილს ოფიციალურად 400-მდე ორთაბრძოლიდან მხოლოდ ორი აქვს წაგებული.**

**ლევან თედიაშვილს** როდესაც ჰკითხა ჟურნალისტმა, თუ წაგიგიათო, მან უპასუხა: წაუგებელს ჭიდაობაში მხოლოდ ერთ კაცს – მამაჩემს ვიცნობო. ეს როგორო, გაუკვირდა ჟურნალისტს. ლევანმა უპასუხა: იმიტომ არ წაუგია, რომ არც არასოდეს უჭიდავიაო!

არ უჭიდავიაო და არ „უბრძოლიაო“!

ლევანის მამა – **ქიტესა თედიაშვილი** მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა, ქერჩში დაიჭრა და ჰოსპიტალში გაიცნო მისი მომავალი მეუღლე – ლევანის დედა **შურა გრიკალოვა**.

ლევანის ოჯახს საქართველოსთვის არც ერთი ბრძოლა არ გამოუტოვებია.

ამიტომაც **ლევან თედიაშვილის** ცხოვრებაში სიხარულმა და სიმწარემ ერთმანეთი ბევრჯერ შეცვალა.

**ლევან თედიაშვილის** ცხოვრებაში წყალგამყოფი იყო დიდი სპორტიდან წასვლა.

1981 წელს ლევან თედიაშვილი, საქართველოს ჭიდაობის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი, 33 (!) წლის ასაკში, გადატენილი თბილისის სპორტის სასახლის დარბაზიდან პატივით გააცილეს გულშემატკივრებმა და მთელმა საბჭოთა კავშირმა, მათ შორის – პოლიტიკურმა ელიტამ. ამ უკანასკნელის დამოკიდებულება ასახულია იმ ფაქტში, რომ ის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი

# ბრმა და ყრუა!



ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

სპორტიდან წასვლით **ლევან თედიაშვილის** ცხოვრება „თავიდან დაიწყო“. ეს ასე იყო საბჭოთა კავშირის დროს ყველა სპორტსმენისთვის. თუ კაპიტალისტურ გარემოში სპორტსმენი ჩართულია სპორტის კომერციულ ნაწილში და როგორი დონისაცაა სპორტსმენი, ისეთივე ფინანსურ მდგომარეობას იქმნის კარიერის მანძილზე, რასაც იყენებს სპორტიდან წასვლის შემდეგ ცხოვრების ბაზად, საბჭოთა კავშირში სპორტსმენი, რა სიდიდისაც არ უნდა ყოფილიყო, დამოკიდებული იყო პარტიისა და მთავრობის მზრუნველობაზე. რა თქმა უნდა, აქ ბევრი იყო სუბიექტური დამოკიდებულება, მაგრამ არსებობდა რაღაც მინიმუმი, რომელსაც სპორტსმენები იღებდნენ: უშვებდნენ ბენზინგასამართი სადგურების უფროსებად, საწყობში სამუშაოდ ...ბოლოს და ბოლოს, ახალ ტაქსზე სვამდნენ მძღოლად! ლევან თედიაშვილიც დანიშნეს კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო და მორალური მხარდაჭერა, მოფერება და პატივი არ აკლდა.

საბჭოთა კავშირის დაშლითა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით ყველაფერი, მათ შორის, სპორტსმენების „შენახვის“ ფორმალური და არაფორმალური სისტემაც მოიშალა.

ამის შემდეგ ლევან თედიაშვილისთვის იწყება, ისე როგორც მისი თაობის ადამიანებისთვის, ახალი — საბჭოთა კავშირისგან განსხვავებული, საბჭოთა კავშირის დემონტაჟისა და კაპიტალიზმის რესტავრაციაზე ორიენტირებულ გარემოში ცხოვრება.

დამოუკიდებელ საქართველოში სპორტის, სპორტსმენებისა და სპორტიდან წასული პირებისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება პრინციპში შენარჩუნდა.

ქვეყანა ვერ გათავისუფლდა საბჭოთა სისტემისგან, ვერ გადაიგდო ერთპარტიული სისტემის უღელი და შესაბამისად, სპორტი და სპორტსმენები ვერ გათავისუფლდნენ მმართველი პარტიისადმი სამსახურისგან და მმართველი პარტიის ნებაზე დამოკიდებული მატერიალური კეთილდღეობისგან.

**ახალ სინამდვილეშიც, ისე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, სანამ ლევან თედიაშვილი კარგად იყო მმართველ პარტიასთან — პრობლემები არ შექმნია: თანამდებობაც ჰქონდა, საქართველოს პარლამენტის წევრიც იყო „მოქალაქეთა კავშირიდან“ 1995-1999 და 1999- 2004 წლების მოწვევის პარლამენტში. ცოტა კაპიტალისტიც გახდა, მაგრამ ეს ყველაფერი მიღწეული იყო იმის ხარჯზე, რომ ის მმართველ პარტიას კომფორტს არ ურღვევდა, პირიქით, თავისი სპორტული და ადამიანური ავტორიტეტით მიმზიდველ ფასადს უქმნიდა!**

საკმარისი იყო მას ოდნავ დამოუკიდებელი პოზიცია დაეჭირა მმართველი პარტიისადმი, რომ უცებ ყველაფერი დაკარგა, ყველაფერი წაართვეს. ვინ ქნა ეს? მათ, ვინც მის გვერდით იჯდა პარლამენტში, პარტია „მოქალაქეთა კავშირში“.

წაართვეს არა მარტო ბიზნესი, არამედ მისი წარსულის რეალიზების შესაძლებლობაც...

2011 წლის 30 ივნისს მის ირგვლივ შექმნილმა სიტუაციამ აიძულა **ლევან თედიაშვილი** სამბოს ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადამდგარიყო.

ჯერ გაიხსნა ლევან თედიაშვილის სახელობის სკოლა და ის ეკუთვნოდა ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას, ხოლო მას შემდეგ, რაც **ლევან თედიაშვილს** „შეეშალა“, მისი სახელობის ჭიდაობის ცენტრი გაუქმდა და სკოლა გადაეცა ძიუდოს ფედერაციას.

აი, რას ამბობს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე: ლევან თედიაშვილს „შეურაცხყოფა მიაყენეს, როცა ის დარბაზი წაართვეს, თუმცა ეს ჩვენი ფედერაციის შეურაცხყოფაც იყო. მე ვეცდები ამის გამოსწორებას“.

ჯერ გამოსწორებას პირი არ უჩანს!

**„ქართული ოცნების“** ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არ მოხდა **ლევან თედიაშვილის** ნაციონალური ხელისუფლების „სასჯელისგან გათავისუფლება“.

**ნათელია, რომ ლევან თედიაშვილმა „ვერ გაამართლა“ „ქართული ოცნების“ იმედები. ასეთ დროს კი ერთპარტიული სისტემების ქცევები იდენტურია, მათი გენეტიკური კოდი ერთი და იგივეა.**

როგორ წარმოიშობოდა მმართველი პარტიები საქართველოში? **კომპარტიამ შვა „მოქალაქეთა კავშირი“, „მოქალაქეთა კავშირმა“ შვა „ნაციონალური მოძრაობა“ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შვა „ქართული ოცნება“!**

**ლევან თედიაშვილი** ბოლო წლებში საზოგადოებას თავს პრინციპული პოზიციებით ახსენებს:

— სამართლის ძიება — **2013 წლის ოქტომბერი**;

— ლუკა კურტანიძის გადაყენების მხარდაჭერა — **2014 წლის ოქტომბერი**;

— შიმშილობა საგარეჯოს საპარლამენტო შუალედური არჩევნების გამო — **2015 წლის ნოემბერი**;

— ჭიდაობის ფედერაციის არჩევნებში აქტიურობა (მანუჩარ კვირკველიას მხარდაჭერა) — **2016 წლის დეკემბერი**.

— ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები — **2017 წლის 21 ოქტომბერი** — საგარეჯოში მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობა (მაჟორიტარული ოლქი 11.07.01) „პატრიოტთა ალიანსის“ სახელით — მეოთხე შედეგი:

**მკითხველმა ბოლო ფაქტს უნდა მიაქციოს ყურადღება.** ლევან თედიაშვილი **არ აირჩიეს სოფლიდან საგარეჯოს საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად!**

**რატომ? იმიტომ, რომ ის არ იყო წარმოდგენილი** „ქართული ოცნების“ **ნომრით — 41!**

აქ რა ისტორიული პარალელი გამოდის გონებაში? დიახ, სწორია — სხვიტორში რომ აკაკი წერეთელი არ აირჩიეს!

**ასეთ კონკრეტულ ფაქტებში გამოხატვას პოულობს არჩევნების დროინდელი საზოგადოების მდგომარეობის სრული ფიზიოლოგია და ანატომია არა სხვიტორსა და საგარეჯოში, არამედ სრულიად საქართველოში!**

საგარეჯოს საკრებულოს წევრობაზე კენჭისყრა **ლევან თედიაშვილის** მხრიდან იმაზე უფრო რთული და მეტი გადაწყვეტილებაა, ვიდრე შაჰის მხრიდან პირობის შესრულება.

**ლევან თედიაშვილმა სოფლის მაჟორიტარად მზადყოფნით აჩვენა, რომ ის მზადაა, ემსახუროს საქართველოს ნებისმიერი ფორმატით, ის მზადაა, შეეწიროს და შესწიროს საქართველოს ყველაფერი, რაც მისმა ოჯახმა, მისმა შვილმა სიცოცხლის შეწირვით დაამტკიცეს.**

წარმოგიდგენიათ საგარეჯოელებს, თუ რა ფასი ექნებოდა თქვენს საკრებულოს, რომ იქ მჯდარიყო **ლევან თედიაშვილი? მან შემოგთავაზათ მისი შვიდი ათწლეულის ნაგროვები სახელი, დიდება, გამოცდილება გამოსაყენებლად, შემოგთავაზათ პირადად, პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე და თქვენ ხელი ჰკარით?**

**თუ ეს იმიტომ გააკეთეს საგარეჯოელებმა, რომ ხელისუფლების კანდიდატებისთვის უნდა დაეჭირათ მხარი, მაშინ ეს სამარცხვინო ლაქად დარჩება, როგორც მაგალითი საზოგადოების უმწიფრობისა. იქნებ სოფელმა „დასაჯა“ ლევან თედიაშვილი იმისათვის, რომ ის მუდამ სახელმწიფო კაცად ევლინებოდა მას და ახლა აღარ დაუდგა გვერდით! ამ შემთხვევაშიც სოფელმა დაუშავა თავის თავს.**

„ქართული ოცნება“ რას ემართლება ლევან თედიაშვილს? ლევან თედიაშვილს არ პატიობენ იმ დონის თავისუფლებასაც კი, რომ მან დასვა საკითხი ჭიდაობის პოლიტიკისგან, პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლების თაობაზე.

მართლაც დააკვირდით ინფორმაციებს სოციალურ ქსელებში სპორტული ფედერაციების შესახებ, რა ხდება არჩევნებზე, რა დონის ფინანსური სკანდალებია.

ჭიდაობა ქართული იდენტობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. იგი ქართული ენის, ქართული სიმღერისა და ცეკვის რიგში მდგომი მოვლენაა. აქედან მოდის ყველა სხვა სახეობებში წარმატება.



ომარ ფხაკაძე, ლევან თედიაშვილი

მარტო ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებში საქართველოს მოპოვებული აქვს სულ 505 მედალი, აქედან:

**თავისუფალ ჭიდაობაში:** ოლიმპიურ თამაშებში — 26, მსოფლიო ჩემპიონატებზე — 64, ევროპის ჩემპიონატებზე — 92, სულ — 182 მედალი.

**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში:** ოლიმპიურ თამაშებში — 16, მსოფლიო ჩემპიონატებზე — 43, ევროპის ჩემპიონატებზე — 48, სულ — 107 მედალი.

**ძიუდოში:** ოლიმპიურ თამაშებში — 19, მსოფლიო ჩემპიონატებზე — 45, ევროპის ჩემპიონატებზე — 152, სულ — 216 მედალი.

ამ მედლების უკან მდგარი ემპირიული მასალა და ადამიანები წარმოადგენენ იმ უზარმაზარ სიმდიდრეს, რომელიც უნდა გამოვიყენოთ საქართველოს, როგორც ჭიდაობის ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრის სახით პოზიციონირებისთვის.

თითოეული ჩემპიონი მისთვის მისაღები ფორმით უნდა იყოს ჩართული ჭიდაობის განვითარებაში — მწვრთნელების, მრჩევლების, მზრუნველების სახით. ჩემპიონების გამოცდილების უშუალოდ მიღება და ჩემპიონებთან უშუალო კონტაქტი — ესაა ახალგაზრდებისთვის საუკეთესო სკოლა და მომავალი წარმატებების საფუძველი.

ამ კუთხით როგორია საქართველოში მათი გამოყენების დონე?

თუ ვიმსჯელებთ **ლევან თედიაშვილის** გამოყენების ხარისხით, მაშინ ძალიან დაბალი.

**ლევან თედიაშვილის** ფენომენი შესასწავლია და ეს მისი მონაწილეობით უფრო უკეთესად მოხდება, თუ მის გარეშე? მისი ფენომენი უნდა იყოს სხვადასხვა კუთხით მეცნიერული შესწავლის საგანი.

**ლევან თედიაშვილის სკოლა უნდა არსებობდეს და მისგან მასტერკლასების მიღება უნდა შეეძლოთ სპორტსმენებს, მწვრთნელებს, მსაჯებს... ნიშანდობლივია, რომ მის ცოდნასა და გამოცდილებას იყენებენ ირანში, იაპონიაში, ხოლო იგნორირებულია საქართველოში...**

**ყველა ეს საქმიანობა უნდა იყოს კომერციალიზებული და ლევან თედიაშვილს, როგორც სპორტსმენს, უნდა ჰქონდეს შესაბამისი ანაზღაურება.**

თუ ვინმეს სურს ქველმოქმედება — ეს მისი საქმეა და ღმერთმა ხელი მოუმართოს!

**ლევან თედიაშვილის** ყველა დრო უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფოებრივი მიდგომის საფუძველზე.

უნდა შესრულდეს საქართველოს კანონით „სპორტის შესახებ“ დადგენილი მიდგომები და ნორმები.



ომარ ფხაკაძე

კანონის მიხედვით: **„სპორტსმენი, რომლისთვისაც სპორტი შემოსავლის ძირითადი წყაროა, არის პროფესიონალი (მუხლი 21. პუნქტი 2) და „სპორტსმენი“ პროფესიაა (მუხლი 21. პუნქტი 3).**

**ლევან თედიაშვილი** ქართველობის ჯილდოა, რომელსაც სრულად ვერ აღვიქვამთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ჩვენი თანამედროვეა.

მისი მრავალმხრივობა ხელოვნებაშიც გამომჟღავნდა.

ჯიბუტებს განსაკუთრებული ვალი გვაქვს რეჟისორ **გიორგი შენგელაიასი**, რომელმაც 1987 წელს გადაიღო ფილმი **„ხარება და გოგია“**.

ხარება ჯიბუტის მამა წარმოშობით იყო ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა ამაღლებიდან. ის იყო მღვდელი, შეირთო ნაფარეულელი ქალი და დამკვიდრდა კახეთში. ჯიბუტების ეს კერია დღესაცაა ამ სოფელში.

რეჟისორის გენიალური გადაწყვეტილება იყო როლებზე სახელოვანი სპორტსმენების მოწვევა. ხალხმა ამ სპორტსმენების მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულება და სიყვარული გადაიტანა ფილმის გმირებზე. **ომარ ფხაკაძისა** და **ლევან თედიაშვილის** სიყვარული ავტომატურად გადავიდა მათ გმირებზე — **ხარება ჯიბუტსა** და **გოგია კენკიშვილზე**.

მნიშვნელოვანი იყო ის, რომ **ლევან თედიაშვილის** გოგიამ არ დაჩრდილა **ომარ ფხაკაძის** ხარება, რადგანაც **ომარ ფხაკაძეც** ქართული ფენომენი და **ლევანის** სწორი და ღირსი იყო. **ომარ ფხაკაძე** იყო საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონი ველორბოლაში. სხვათაშორის, მასაც აქვს ქართველის იდენტობის განმსაზღვრელი მაგალითი შექმნილი.

მაშინ, როდესაც **ომარ ფხაკაძეს** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვასილ მჟავანაძემ** უთხრა, მთხოვე, რაც გინდაო, ფხაკაძემ ველოტრეკის აშენება სთხოვა თბილისში მაშინ, როდესაც თვითონ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა.

**საქართველოს 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტში ერთად მოგვიწია ყოფნა — ის მოქალაქეთა კავშირს — მმართველ პარტიას, მე — სახალხოს — ოპოზიციურ პარტიას წარმოვადგენდით. ჯიბუტი-კენკიშვილის ურთიერთობა აქ პარტიული ნიშნით იყო გაყოფილი, მაგრამ მათი მეგობრობა არ მოგვიშლია, შევინარჩუნეთ ახალ ისტორიულ გარემოში და შესაბამისი რეპლიკებიც შეიქმნა: „გამოდი ჯიბუტი“, „გაჩერდი ჯიბუტი“, „ხარებამ ეს გასწავლა კენკიშვილო გოგია?!“...**

**ლევან თედიაშვილის** კინოში მოღვაწეობა წარმატებულ, მაგრამ მაინც შემთხვევით მოვლენად აღიქმებოდა. თუმცა, აქაც თედიაშვილმა აჩვენა, რომ ის სხვანაირია, რჩეულია.

გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ახალ, სრულმეტრაჟიან ფილმში „მეოთხე ბრაიტონი“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრანტი მამა-შვილის თავგადასავალზეა, მთავარ როლს ლევან თედიაშვილი შეასრულებს.

ეს ყველასთვის სასიამოვნო ცნობაა...

**ლევან თედიაშვილი ერთია! ფენომენია! განუმეორებელია!**

**ლევან თედიაშვილის** 70 წლის იუბილე დიდი ზეიმის მიზეზია, მსოფლიოსთვის იმის მაჩვენებელია, თუ როგორ აფასებს საქართველო თავის სახელოვან შვილებს, ახალგაზრდებისთვის იმის მაგალითია, თუ როგორები უნდა იყვნენ, რომ ქვეყანამ დააფასოს!

რეალობაში რა ხდება?!

**კარგი, ხელისუფლება ამ მიმართულებით „ბრმა და ყრუა“, ის რაღაცას „ჩეკინობს“ თითქოს საქართველოს პოპულარიზებისთვის, მაგრამ ერი და ბერი სადაა?**

**ლევან თედიაშვილო, დიდხანს იყავი!**

**შენ უკვდავი ხარ, შენი მტრები კი გაქრებიან უკვალოდ, უხსენებლად!**

**მიხეილ ჯიბუტი**

## ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

* * *

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ადამიანების მართვა, რისთვისაც ის ალკაზმულობა უნდა გამოიყენო, რითაც ახლა არიან შეკაზმულნი და არა უწინდელი დროის კაზმულობა.

* * *

ᲞᲘᲠᲤᲔᲠᲝᲑᲐ ყოველთვის აქებ-ადიდებდა სულით სუსტ მთავრობებს როგორც ფრთხილთ, ისევე როგორც მეამბოხენი ძლიერებას დესპოტიზმს არქმევენ.

* * *

ᲛᲔ განვამტკიცე იმპერიის თვით წყობილება. მოხელენი განუხრელად ასრულებდნენ კანონთ. მე ვერ ვიტანდი თვითნებობას, ამად მანქანა გამართულად მუშაობდა.

* * *

ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ თუ ვიტყვით, მმართველობის გინდ სახელწოდება, გინდ ფორმა არც რა როლს არ თამაშობს. სახელმწიფო მაშინ იმართება კარგად, უკეთუ იმის მიღწევას მოვახერხებთ, რომ სამართლიანობას თავის თავზე იგრძნობს სუყოველი მოქალაქე როგორც პიროვნების დაცვის მხრივ, ისე ბეგარა-ღალაკულუხის, სხვადასხვაგვარი შეწირულობისა და დანაკარგის ანაზღაურების მნიშვნელობით.

* * *

ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რათა ხალხმა ჭეშმარიტი თავისუფლება მოიპოვოს, საჭიროა, მართული ხალხი ბრძენი იყოს, მმართველნი კი — ღმერთნი.

* * *

ᲡᲘᲫᲐᲑᲣᲜᲔ სიზარმაცემ იცის ანდა საკუთარი თავის უნდობლობამ. უბედურნი არიან ისინი, ვინც ძაბუნია ერთბაშად ამა ორი მიზეზისა გამო: უკეთუ ლაპარაკია კერძო პირზე, რასაკვირველია, ის უმაქნისი კაცია, ხოლო თუ მონარქზეა ლაპარაკი — ის ორჯერ უმაქნისია.

* * *

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ სული ჯერეთ იმისთვის არ დავარგებულა, რომ მმართველნი იმას აკეთებდნენ, რაც უნდა აკეთონ, მართულნი კი — იმას, რისი კეთებაც უნდათ.

* * *

ᲠᲝᲡ ხელმწიფე თუნდ ერთი დანაშაულით იცხებს ჩირქს, ყველაფერ დანარჩენს ეგრევე მიაწერენ: ზედახორავდება ტყუილი, ცილისწამება, ჭორ-ჭურის გამავრცელებელთ კარგი ამინდი უდგათ, ლიტერატურული ყორნები ცხედართ ესევიან და ღვარძლიანად ნთქავენ; ჯერ კიდევ სიცოცხლეში გავრცელებული და შთამომავალთაგან აკრეფილი სკანდალური და დაუჯერებელი ბრალდებები ათასნაირად მეორდება.

* * *

ᲫᲕᲔᲚᲘ, ბათქაშით განახლებული, მონარქიები მანამ არსებობენ, სანამ ხალხი თავის თავში ძალას არ იგრძნობს: მსგავს ნაგებობაში რღვევა მუდამ საძირკვლიდან იწყება.

* * *

ᲐᲗᲘ ენატარტარა ბევრად მეტ ხმაურს იწვევს, ვიდრე მდუმარე ათი ათასი: სწორედ ეს არის იმათი წარმატების საშუალება, ვინც ტრიბუნიდან იყეფება.

* * *

ᲮᲐᲚᲮᲡ თავისი საკუთარი აზრი აქვს, სანამ დემაგოგთ არ შეუცდენიათ.

* * *

ᲡᲣᲧᲝᲕᲔᲚᲘ პარტიული თავყრილობა ტუტუცთაგან და არამზადათაგან შედგება.

* * *

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲨᲘ ორი ხარისხის ადამიანთ ვაწყდებით: იმათ, ვინც რევოლუციებს ახდენს, და იმათ, ვინც რევოლუციათა მონაპოვარს იყენებს თავისი მიზნებისთვის.

* * *

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚ ერს ნახევარზომებით არ მართავენ: საჭიროა ძალა, თანამიმდევრობა და ერთიანობა სუყოველ საქმეში.

* * *

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲔᲑᲘ, რომელთა შიგან ურ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №52-58

# ასე ამბობდა ნაპოლეონი



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲔᲜᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

თიერთსაწინააღმდეგო აზრები გამოითქმის, მანამ ვარგანან, სანამ მშვიდობა მეფობს.

* * *



ᲤᲚᲘᲑᲣᲡᲢᲘᲔᲠᲗ* რომ თავიანთი სიმამაცის საკადრისი პოლიტიკოსობის თავი ჰქონოდათ, ისინი ამერიკაში დიდ იმპერიას ჯერ კიდევ მეთექვსმეტე ასწლეულში დააარსებდნენ.

* * *

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ მართულ ქვეყანაში საჭიროა მეთაური რელიგია და სახელმწიფოზე დამოკიდებული მღვდლები. ეკლესია სახელმწიფოს უნდა ემორჩილებოდეს და არა სახელმწიფო — ეკლესიას.

* * *

ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘᲐ, რას იკითხავ, როდემდეა რელიგია პოლიტიკური ძალაუფლებისთვის აუცილებელი თუ როდემდეა საჭირო წყალმანკით დაავადებულისთვის ნემსის ჩხვლეტა: ყველაფერი ექიმის კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.

* * *

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ და მოხელე იშვიათად იღებენ მემკვიდრეობით იმას, რასაც ქონება ჰქვია. ამიტომ უპრიანია იმათი დაჯილდოება პატივისცემითა და ყურადღებით. პატივისცემა, რომელსაც იმათ მიმართ იჩენენ, იცავს ღირსების გრძნობას, რაიც ერის ჭეშმარიტი ძალაა, გინდა ამანი თქვი.

* * *

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ბრმად მიბაძვისას ყოველთვის პირველსავე შემხვედრს ეცემა ხოლმე, რაც შეეხება მთავრობას, აქ მუდამ საჭირონი არიან გაქნილი გაიძვერები, ურომლებოდაც ვერცრა საქმე ბოლომდე ვერ მივა.

* * *

ᲩᲔᲛᲘ მმართველობა ლიბერალური იყო, ამადაც რჩებოდა მტკიცე და მკაცრ მართვა-განმგებლობად. შემსრულებელთ ყოველი მხრიდან ვეპატიჟებოდი: მე ნაკლებად მაწუხებდა ვისიმე რწმენა თუ მრწამსი, ოღონდაც ჩემი წესები შეესრულებინათ. ეს ჩემთვის იოლი იყო, რამეთუ ხელახლა ვაშენებდი.

* * *

ᲝᲓᲔᲡ ჩემი მონარქობის დროს შეწყალების უფლებით სარგებლობა მიხდებოდა, შემდეგ მუდამ და აუცილებლად ვნანობდი.

* * *

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ სახელმწიფოები მოკლებულნი არიან მამოძრავებელ ძალას: მთავრობის მოქმედება ზედმეტად შეზღუდულია. ეს ამბავი ასეთ სახელმწიფოებს დამღუპველად ასუსტებს, რაც უეჭველად თავს იჩენს ხოლმე, ოდეს ისინი ძლევამოსილ და დესპოტურ მეზობელთ ებრძვიან. ავტორიტარულ ხელისუფლებას შეეძლო იმათი მხარდაჭერა, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ენათესავება ლოდსარტყიანს, ანუ ფილაკვანს, რომლისთვისაც სულერთია, შეუძლია თუ არა წინააღმდეგობის გაწევა სატახტოს კარიბჭეს, რომლის ნადგურყოფასაც აპირებს.

* ფლიბუსტიერი — მეკობრე, ზღვის ყაჩაღი, კონტრაბანდისტი

> სულის სიდიადითა და ბედის მორჩილებით, რაც მან უბედურების ჟამს გამოამჟღავნა, ცოტა ვინმე თუ გაუტოლდება და ამიტომაც მისი მჯობნი არავინაა.
>
> ᲡᲢᲔᲜᲓᲐᲚᲘ



* * *

ᲛᲔ დავამარცხე მეფენი ძლევამოსილი სახელმწიფოს გულისთვის; მეფეთ კი მე დამამარცხეს და ყოველთა გასაგონად გაჰყვიროდნენ, ჩვენ ხალხის კეთილდღეობისთვის ვმოქმედებთო; იმათ დიდი შეცდომა მოუვიდათ ჩემთვის ტახტის ჩამორთმევით, დაბოლოებას დაველოდოთ.

* * *

ᲑᲔᲕᲠᲘ იყვირეს იმის წინააღმდეგ, რასაც ჩემს დესპოტიზმს ეძახიან. თუმცაღა, მე ნიადაგ ვამბობდი, რომ ერები არ არიან იმათი საკუთრება, ვინც იმათ მართავს; ამჟამად კი მონარქნი, კონსტიტუციურნი რომ გახდნენ, სწორედ ამის დავიწყებას ცდილობენ.

* * *

ᲛᲔᲤᲔᲜᲘ და მოტყუებული ქმრები მუდამ ყველაზე ბოლოს იგებენ, რომ დასცინიან.

* * *

ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ჩემს კანონთ იწერენ, ჩემს დაწესებულებებს ბაძავენ, ჩემს არაერთ წამოწყებას აბოლოებენ, ჩემს პოლიტიკას მისდევენ და ასე შემდეგ, თვით იმ ტონის ჩათვლით, რომელსაც ჩემი სამეფო კარი აძლევდა დანარჩენ სამეფო კართ; მაშასადამე, ჩემი მმართველობა არც ისე უხეირო და უაზრო ყოფილა, როგორც ზოგიერთნი უბნობენ.

* * *

ᲘᲡ ბევრი უბედურება, რაც საფრანგეთს 1814 წლიდან დაატყდა, იმის მიზეზი გახდა, რომ გონებამოქნილ იდეოლოგთ მთავრობაში შესვლის საშუალება გაუჩნდათ. ეს ადამიანები აღმერთებენ ქაოსს, რამეთუ ის არის იმათი არსი. ისინი ღმერთსაც ემსახურებიან და ეშმაკსაც.

* * *

ᲕᲔᲠ წარმოგიდგენიათ, რა მსხვერპლს გავიღებდი, და თანაც სრული კმაყოფილებით, ევროპაში ისეთი ბუნებრივი წესრიგის გულისთვის, სუყოველ ხალხს ხანგრძლივი სიმშვიდით რომ უზრუნველყოფდა, ხოლო საფრანგეთსა და გერმანიას შინაგანად ისე ააყვავებდა, ვითარცა ინგლისი ყვავის. მე არ ვებღაუჭები არც ჰამბურგს, არც კიდევ რომელსამე სხვა გარკვეულ პუნქტს; მე იმ გონებაშეზღუდულ ადამიანთა სათვალავს არ ვეკუთვნი, საგანთ ოდენ ერთი რომელიმე მხრიდან რომ ხედავენ და ამა თუ იმ საკითხში სიჯიუტეს ავლენენ. ბევრი ხერხია საქმის იმ დღისთვის მოსაგვარებლად, ოდეს ინგლისი დაზავებას გადაწყვეტს და თანახმა გახდება, რომ აღიაროს სხვათა უფლებები და უპირატესობანი, რაიც ზეციერს მარტოოდენ იმ ერთისთვის არ შეუქმნია.

* * *

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ ამოუწურავია; ამის დამამტკიცებელ საბუთს მივაგენი რუსეთში ომის შემდეგ და 1815 წელს. ფეხი დაჰკარით მიწას — და იქიდან ფულიც გაჩნდება და ჯარიც. საფრანგეთი არცროდის არ გაიზიარებს დაპყრობილი და დანაწევრებული ქვეყნის ბედს.

* * *

ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ მარტოოდენ ორი შესაძლებლობაა: მბრძანებლობა ან დამორჩილება. საფრანგეთის მიმართ სუყოველი მთავრობის საქციელმა დამიმტკიცა, რომ ის, საფრანგეთი, მხოლოდ თავის სიძლიერეს, ანუ ძალას, ამანს უნდა დაენდოს.

* * *

ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ დღე და ისტორია იტყვის, რა იყო საფრანგეთი, ოდეს მე ტახტზე ავედი, და რა გახდა, ოდეს ევროპას კანონები დავუწერე.

* * *

ᲡᲣᲚᲐᲪ არა ვფიქრობ, რომ საფრანგეთს ოდესმე უკეთესი წესრიგი უნახავს, ვიდრე ის, როგორიც ჩემს დროს იყო.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

# ნანგრევებიდან: შუღლობის ადათი

## ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

**ამ მონოგრაფიული თხზულების დამწერი თუ ვინმე — ნოშრევან არაბული გახლდათ და... კიდეც აქცევდა ეთნოგრაფიული ნარკვევის თემად ხევსურულ შუღლს, როგორც ისტორიულ-სოციალურ მოვლენას, ტრადიციად რომ დამკვიდრებულიყო ამ მხარეში და თავისი წეს-კანონებიც შეემუშავებინა, როგორც საყმოთა ცხოვრების გარდუვალ ნაკადს.**

შემორჩენით უდავოდ რაინდული ეპოქიდან შემორჩენილიყო. და როდესაც შუღლის ისტორიასა და მოშუღლართა გალერეას ვეცნობით ხოლმე ენაწყლიან მთხრობელთა ნაამბობების წყალობით, თითქოს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანისა“ თუ უოლტერ სკოტის „აივენჰოს“ ეპიზოდებს შევყურებდეთ ახალ დროებაში.

რაინდული ორთაბრძოლა შუღლის სახეს მიიღებდა.

შუღლი განსხვავდება დუელისაგან, სამაგიეროდ ძალიან ჩამოჰგავს მენსურს, რომელიც ევროპაში დუელზე არანაკლებ გავრცელდებოდა. და ნოშრევან არაბული შეიარაღებული დაპირისპირების ამ ევროპულ ტრადიციაშიც გაერკვეოდა, რათა შეედარებინა შუღლობის ტრადიციისთვის, რომელსაც ძირისძირობამდე შეისწავლიდა, გაიაზრებდა და მოხდენილ კომპოზიციურ ქარგაშიც მოაქცევდა.

არადა, მოსწრებაზე იყო ამ მოვლენის შესწავლა.

ხვალ უკვე გვიან იქნებოდა და სინანულის მეტი აღარა დაგვრჩებოდა რა, რადგანაც არ კმარა ის ფრაგმენტული თუ მკრთალი აღწერანი, რაც აქამდე მოგვეპოვებოდა.

ნოშრევან არაბული — როგორც ნამდვილ მკვლევარსა და მწერალს შეშვენის — არავის არაფერს დაუკარგავდა და თითოეული წინამორბედის წვლილს შესაფერისადაც აღნიშნავდა, მაგრამ უმთავრესად მაინც ზეპირგადმოცემებს დაეყრდნობოდა, წლობით ნაგროვებსა და დახარისხებულს, შესაფერისი ფორმის მოძებნალა რომ სჭირდებოდა.

და ასე იქცეოდა ჩინებულ წიგნად ის დიდძალი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და „ჩვენი მწერლობა“ რომ გაუხსნიდა გზას მკითხველისაკენ, რომელიც — დარწმუნებული ვარ — უსათუოდ მოითხოვს ტირაჟის განმეორებას, იმხელა დაინტერესება მოჰყვება.

მოსწრებაზე იყო და... კიდეც მოესწრო.

თანაც ხელი მოჰკიდა პროზაიკოსმა, პოეტმა და მკვლევარმა, ეთნოგრაფიული ნარკვევების მხრივ ორ მონოგრაფიას რომ გამოაქვეყნებდა აქამდე: „შიოლასა და მთრეხელის“ ბალადისა და ხევსურული დოლისადმი მიძღვნილს — უაღრესად საგულისხმო ძიებებს.

ისე მოხდებოდა, რომ ნოშრევან არაბული თავისებურად გააგრძელებდა იორამ ღუდუშაურის გზას — მრავალმხრივი ინტერესებისა და — რაც მთავარია — ზნეობრივი პიროვნების, რომელიც დიდ ამაგს დასდებდა მშობლიურ სნოსაც, ხევსაც და შორსა და შორსაც გადაწვდებოდა მისი სასიკეთო ზეგავლენა: პოეტის, პროზაიკოსის, ფოლკლორისტის, ლექსიკოგრაფის, მონადირისა და მეურნის, ამ მხრივ სასწაულებსაც რომ მოახდენდა.

და როდესაც საბჭოთა ხელისუფალნი სოფლიდან გასახლებას მიუსჯიდნენ,




ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენებდნენ: ახალგაზრდობას გონებას ურევსო. და ეს ბუნებრივია — ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალვა ყმაწვილკაცებისა და თითოეულის ნიჭის გასაფურჩქნად ზრუნვა იმჟამინდელი იდეოლოგიური საზომებით გონების არევად მიიჩნეოდა. და ერთ-ერთი მაშინდელი ახალგაზრდა აღმოჩნდებოდა ნოშრევან არაბული, რომელიც მეურნედაც ივარგებდა და ხელსაც სასიკეთოდ დაატყობდა ჯუთას. ხოლო ფუტკრების ცხოვრებაში ისე გაერკვეოდა, შესაძლოა, ადრე თუ გვიან ეს ცხოვრებაც აქციოს ნარკვევის თემად: აპოლონ წულაძისა თუ მორის მეტერლინკის წიგნებისა არ იყოს.

სტილურად ისიც ისეთივე დახვეწილი და ექსპრესიული იქნება, როგორც ნოშრევან არაბულის სხვა ნარკვევები და მათ შორის „შუღლიც“, რომელიც შეიძლება დოკუმენტურ მოთხრობადაც მოვიხსენიოთ.

მოსწრებაზე იყო და... კიდეც მოესწროო...

ასე იყო მოსწრებაზე ხევსურული სწორფრობისა და ფშაური წაწლობის ინსტიტუტიც, ნათელა ბალიაური რომ გადაგვირჩენდა და მონოგრაფიულად შემოგვინახავდა მის მთლიან სახეს, ერთიან სისტემას — ყოველგვარი გამოვლინებითაც და იმ საკრალური იდუმალებითაც, რომლის ზღურბლის გადალახვასაც ტყუილუბრალოდ ნურავინ ეცდება.

თითქოს სწორფრობის ტრადიციის ნანგრევებში იდგა ნათელა ბალიაური.

და თითქოს შუღლობის ტრადიციის ნანგრევებში იდგა ნოშრევან არაბული.

ნანგრევებად ითქმის, აბა სხვაგვარად როგორ, ისე ინგრეოდა თვალდათვალ ერთიცა და მეორეც.

ოდესღაც განა ასევე არ იდგა ტრადიციების ნანგრევთა შუაგულში პავსანიაც? მაინც რომ მოასწრებდა და ელადის აღწერილობას დაგვიტოვებდა — ეთნოგრაფიულ პანორამასაც და იმ სულსაც, ჯერჯერობით რომ ინარჩუნებდა თითოეული ტრადიცია მთლიანობას, გაფერმკრთალებული თუ სულაც მიკარგული დეტალების აღდგენა კიდევ რომ შეიძლებოდა.

ასევე ინარჩუნებდა მთლიანობას სწორფრობაც.

ასევე ინარჩუნებდა მთლიანობას შუღლიც.

მაგრამ აბა ან ერთისათვის არ მიესწროთ და ან მეორისათვის!..

„შუღლი“ უმთავრესად მაინც დასტაქართა ხელოვნებაზე აიგებოდა, ამბებზე სასწაულმოქმედი სახალხო ექიმებისა, თავის ქალის ახდასაც რომ ახერხებდნენ... ავტორისათვის საექიმო ხელოვნება ოჯახურადაც არის მახლობელი, რადგანაც პაპამისი — გოგიტათ ბეწინა — სახელგანთქმული დასტაქარი გახლდათ და ყმაწვილის თვალწინ ჩაივლიდა განკურნებულ პაციენტთა გრძელი, დაუსრულებელი მწკრივი.

შუღლს ჭრილობებიც უხვად მოსდევდა, ჭრილობასა და სისხლს კი თავთავისი ფასი ედო, რაც ზედმიწევნითი სიზუსტით უნდა გამორკვეულიყო... ამასთან შერიგების რიტუალიც ზუსტად დადგენილი წესებით უნდა აღსრულებულიყო, ხშირად შეიარაღებული ორთაბრძოლა შერიგებითა და სულაც დაძმობილებით რომ თავდებოდა... თუმც ყოველთვის ვერა.

მძაფრი დრამატიზმი ტრაგიზმითაც არაერთხელ შეიმოსებოდა.

ნუ გამოგვრჩება:

შუღლის სცენა ჩაერთვოდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“, მწერალი თავსგადახდენილ ამბავს დოკუმენტური სიზუსტით რომ შეიტანდა თხრობაში და... აფშანისძე გლახუნად შებურვილ გიორგი პირველს მიაწერდა.

ვრცლად გაიშლებოდა შუღლი მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „თეთრი საყელო“ და... მშვენიერი თემა იქნება, თუკი რომელიმე მკვლევარი მოჰკიდებს ხელს ამ სცენების შედარებას ხევსურეთის ყოფით რეალობასთან, ამ მხრივ ასეთი სანდო გზამკვლევი რომ გამოგვჩენია ნოშრევან არაბულის დოკუმენტური მოთხრობის სახით, გარეგნულად მომცრო თხზულება შინაგანი მონუმენტურობით რომ წარმოგვიდგება.

* * *

არის ადგილები ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე, მათზე ასე განზოგადებულ-გასიმბოლოვებულად რომ ითქმის: თუ ის არ გინახავს, საქართველო არ გინახავსო!..

ერთი ასეთი ადგილი ნოშრევან არაბულის მშობლიური სოფელიცაა:

თუ ჯუთა არ გინახავთ, ნუ იტყვით, რომ საქართველო გინახავთ.

ამ სოფლის ხსენებაზე ძალდაუტანებლად წამოგაგონდებათ ამირან არაბულის ეთნოგრაფიული ჩანაწერები თუ იქაურთა სილუეტები, აგრეთვე მისი ფოტოეტიუდები...

მაგრამ ვერც ფოტო და ვერც ვერავითარი ჩანაწერი ვერ შეცვლის თვალით ნანახს, მით უმეტეს ჯუთაში შესულს ნოშრევან არაბული რომ შემოგეგებებათ, აწ უკვე კითხულ კაცად და ახალგაზრდების აღმზრდელად — თავისი ფართო განათლებითა და თვალსაწიერით, საყმოთა ადათ-წესების ღრმა ცოდნითა და იმ გამრჯე მარჯვენით, მიწის ყადრიც რომ იცის და ფურცლებზე სიტყვების დასახლების ყადრიც... და ყადრიც ნანგრევებისა და მათი იდუმალი მადლისა...

**როსტომ ჩხეიძე**

## წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე

**წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში ზემო-ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობასთან „საქართველოს მელიორაციის“ რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლები და დუისის საჯარო სკოლის უფროსკლასელები შეიკრიბნენ.**



„საქართველოს მელიორაციის“ კახეთის რეგიონის უფროსმა ალექსანდრე კირვალიძემ და მთავარმა ინჟინერმა მიხეილ არინდაულმა მოსწავლეებს დაათვალიერებინეს მდინარე ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა, გააცნეს სამელიორაციო სისტემის მუშაობის სპეციფიკა და ის თანამედროვე მორწყვის მეთოდები, რომლებიც წყლის რესურსის რაციონალურ ხარჯვას უწყობს ხელს.

მოზარდებმა საქართველოს მელიორაციის თანამშრომლებთან ერთად ჰიდროტექნიკური ნაგებობის დანადგარები და ხიდი შეღებეს; ასევე, ზემო ალაზნის სარწყავი არხის ფერდები, მიმდებარე ტერიტორია და სათავესთან არსებული დენდროლოგიური პარკი დაასუფთავეს.

## საქართველოს საავიაციო ბაზარზე დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია SALAMAIR-ი შემოდის

**ომანის დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია „SalamAir“ საქართველოში რეგულარულ საავიაციო მიმოსვლას იწყებს. მუსკატი-თბილისი-მუსკატის საჰაერო ხაზზე ფრენები 2018 წლის 15 ივნისიდან ზაფხულის სანავიგაციო სეზონის ბოლომდე (27.10.2018), კვირაში 3 სიხშირით, ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს, Airbus A320 ტიპის საჰაერო ხომალდით შესრულდება.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, ავიაკომპანია „SalamAir“-ს რეგულარული ფრენის განხორციელებისათვის აუცილებელი ნებართვა 14 მარტს მიენიჭა.

ახალი რეისები ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ტურიზმის სფეროსა და ახალი ბიზნეს ურთიერთობების განვითარებას.



# რუსულმა მედიამ სოხუმის ხელისუფლების ნახევარი ბრიტანულ სპეცსამსახურებთან მუშაობაში „ამხილა“

**ოკუპირებული აფხაზეთი აღშფოთებულია რუსეთიდან წამოსული მორიგი პროპაგანდისტული დეზინფორმაციით, რომელიც ამჯერად არა სოციალური ქსელების, არამედ ინტერნეტმედიის გამოყენებით გავრცელდა. სენსაციური „სიახლე“, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ნახევარი ბრიტანულ სპესამსახურებზე მუშაობს, თავდაპირველად „წყაროზე“ დაყრდნობით ნაკლებად ცნობილმა ინტერნეტ-გამოცემა „MOS.NEWS“-მა გაავრცელა, მოგვიანებით კი თითქმის ყველა რუსულმა მედიასაშუალებამ აიტაცა, ავტორიტეტული „Независимая газета“-ს ჩათვლით.**

„საინტერესოა, რატომ აიტაცა ლამის მთელმა რუსულმა მედიამ, „Независимая газета“-თი დაწყებული და „Можайск сегодня“-თი დამთავრებული, უცნობი უკრაინული ინტერნეტგამოცემის ეს „სიახლე“, რომელიც თავად აფხაზეთში ყველამ სრულ ბოდვად აღიქვა. ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი შესაძლოა, რუსეთ-ბრიტანეთის ურთიერთობების ბოლოდროინდელი გამწვავება იყოს, რომელიც სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მოწამვლას უკავშირდება. ჯაშუშომანიის თესლი ამ შემთხვევაში ნოყიერ ნიადაგში მოხვდა: რუსეთში ხომ უკვე მრავალი წელია, უყვართ მსჯელობა ანგლო-საქსურ ხრიკებზე რუსეთის წინააღმდეგ“ — წერს ამასთან დაკავშირებით „эхо Кавказа“-ს ადგილობრივი მიმომხილველი ვიტალი შარია.

როგორც შარია აღნიშნავს, „აფხაზეთში ეჭვი არავის ეპარება, რომ ბრიტანეთი არ არის დაინტერესებული და დაკავებული აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ნატოში შეთრევით, ანდა, როგორც ინფორმაციის პირველწყარო აღნიშნავს, ბრიტანული გვირგვინისთვის აფხაზური ალმასის მორგებით“ და „(...) ნებისმიერი რიგითი აფხაზი აცნობიერებს, რომ მხოლოდ რუსეთის ფედერაციაა როგორც მისი, ასევე სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების გარანტი“.



„ბრიტანეთის აგენტებს“ შორის სახელდებიან, **რუსული დრამატული თეატრის დირექტორი ირაკლი ხინთბა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქალები პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ირინა აგრბა, ტელეჟურნალისტი ანა გუნია, საგარეო საქმეთა დე ფაქტო მინისტრი დაურ კოვე, თავდაცვის დე ფაქტო მინისტრის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ბესლან წვიჟბა და სხვები.**

თავდაცვის დე ფაქტო სამინისტრომ საჭიროდ ჩათვალა, განცხადება გაევრცელებინა, რომელშიც, კერძოდ ვკითხულობთ:

**„ბატონი წვიჟბა, როგორც მინისტრის მოადგილე, არ ერევა აფხაზეთის საგარეო და შიდა პოლიტიკურ პროცესებში, მით უფრო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საკურორტო ობიექტებთან დაკავშირებულ საქმიანობაში და არანაირი კავშირი არა აქვს რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში აფხაზეთის შეიარაღებული ძალების წევრთა სწავლებასთან. ამ საკითხს პირდაპირ კურირებს თავდაცვის მინისტრი. რაც შეეხება გენერალ-ლეიტენანტ წვიჟბას შეხედულებებს, როგორც საბრძოლო ოფიცერს, რომელსაც სამშობლოს ერთგულების ფიცი აქვს დადებული, წვიჟბას არაერთხელ დაუმტკიცებია აფხაზეთის სიყვარული და მისი ქმედებები ფართოდ არის ცნობილი. საჭიროდ მივიჩნევთ, გავაფრთხილოთ სტატიის როგორც ავტორი, ისე დამკვეთი, სამომავლოდ თავი შეიკავონ მსგავსი დეზინფორმაციების გავრცელებისგან. ეს მათ კარგს არაფერს მოუტანს“.**

ახლა ვნახოთ, რას ემყარება სტატიის ავტორის მტკიცება, თითქოს მის მიერ ჩამოთვლილი ფიგურანტები ბრიტანულ „მი-8“-ზე თუ სხვა სპეცსტრუქტურებზე მუშაობენ. დიდს არაფერს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზოგი აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაცია 1990-იანი წლების შუა პერიოდში ზოგიერთი იმ არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებითაა შექმნილი, რომელთა შტაბბინები ლონდონში მდებარეობს. რაც შეეხება სიის იმ ფიგურანტებს, რომელთაც არასამთავრობო სექტორთან არანაირი შეხება არ აქვთ. სტატიის ავტორის მტკიცებით, ისინი აფხაზეთის ხელისუფლებაში თანამდებობებზე ბრიტანეთში „აფხაზეთის რესპუბლიკის საპატიო კონსულ“ ჯორჯ ჰიუიტის პროტექციით აყავდათ. სწორედ ამ კონტექსტში არიან მოხსენიებულები დაურ კოვე, მანამდე კი — სოკრატ ჯინჯოლია...

**„ეს იგივეა, თქვა,რომ რუსეთის ხელისუფლებაში ადამიანებს ზეციური სასუფევლის რომელიმე ბინადრის პროტექციით ასაქმებდნენ... ისე, ჯორჯ ჰიუიტს აფხაზეთში სამ ათეულ წელზე მეტია, იცნობენ. შეირთო რა ცოლად აფხაზი, იგი აფხაზეთის დიდ მეგობრადაც იქცა და, ასე ვთქვათ, ჩვენი ადამიანია ლონდონში. ახლა კი მასზე ხედავთ, რა ირკვევა?...თბილისში კი ჰიუიტი, ცხადია, ძალიან არ უყვართ“,** — წერს ამასთან დაკავშირებით ვიტალი შარია.

პოლიტოლოგი ლეილა ტანია კი, ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, თვლის, რომ სადეზინფორმაციო პუბლიკაციის უკან სწორედ ქართული სპეცსამსახურები დგანან:

**„პირველწყარო — უკრაინული საიტი ტერმინ „Сухуми“-ს იყენებს. ქართული კვალი თვალნათლივია. სურთ, ჩვენი საზოგადოება ავტორიტეტების გარეშე დატოვონ, ყველა და ყველაფერი ამოსვარონ, რათა ჩვენ არა რეალური დისკუსიებითა და მართლაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეებით დავკავდეთ, არამედ ერთმანეთი დავჭამოთ თვითგანადგურებამდე“.**

**საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“**

# გუდაურში მომხდარი ავარიის გამო კომპანია „დოპელმაიერის“ აქციების ფასი დაეცა

**„თვალისმომჭრელი თეთრი თოვლი, მზე, გუდაურის ზამთრის მშვენიერი პეიზაჟი და უცებ... საბაგირო გზის საწევარას სკამებიდან ადამიანები ყვირილით ხტებიან და სხეულის დაზიანებას იღებენ. საბაგირო გზების მშენებელ არცერთ კომპანიას არ სურს ასეთი სურათის ნახვა“,** — წერს ავსტრიული გაზეთი „Die Presse“.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ენტონი ლეფლერის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვან ვერსიას: **მასალაში საუბარია ავსტრიული ფირმის „დოპელმაიერის“ შესახებ, რომლისთვისაც, ცხადია, „გუდაურში მომხდარი დრამატული ინციდენტი ძალზე არასასიამოვნოა: მსოფლიო მასმედიის საშუალებით ყველასთვის ცნობილი გახდა „დოპელმაიერის“ მიერ 2007 წელს აგებულ საბაგირო გზაზე მომხდარი ავარია. კადრები მართლაც დამთრგუნველია: ყველა ხედავს, თუ როგორ მოძრაობს საწევარა მაღალი სიჩქარით საწინააღმდეგო მიმართულებით და ადამიანებს აქეთ-იქით ყრის“.**

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, კომპანიისათვის ჯერ კიდევ არაა ცნობილი დეტალურად, თუ რა მოხდა გუდაურში. ამას სპეციალისტთა ჯგუფი გაარკვევს. არადა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში „დოპელმაიერს“ მსგავსი ინციდენტი არ ჰქონია. ავსტრიის ფორალელბერგის მხარეში არსებულ საწარმოში, რომელიც 1892 წლიდან მუშაობს, უკვე 15 ათასამდე საბაგირო გზის მოწყობილობა აქვს დამზადებული, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე საიმედოდაა მიჩნეული.

კომპანიის თანამშრომლების აზრით, ყველაფერი დეტალურად იქნება გამოკვლეული: **„ჩვენთვის ნდობის ფაქტორის შენარჩუნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“.** მართალია, ინციდენტის გამო აქციების ფასმა, რომელიც 12 მილიარდ ევროს შეადგენს, გარკვეულწილად დაიწია, მაგრამ შემდეგ ისევ ძველ ნიშნულს დაუბრუნდა.

* * *

**გუდაურში** მომხდარი ინციდენტი გაშუქებულია ავსტრიის კიდევ ერთ გამოცემაში — გაზეთ „Kurier“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „მუხრუჭი აუცილებლად უნდა ამოქმედებულიყო“ (ავტორი — ნატაშა მარაკოვიცი).

პუბლიკაციაში ერთ-ერთი ექსპერტი მიხელ ტანცერი საუბრობს კომპანია „დოპელმაიერის“ საბაგირო გზების მაღალ სანდოობაზე და განმარტავს მის ტექნიკურ მონაცემებს. იგი განსაკუთრებით ეხება სამუხრუჭე სისტემას, რომელიც სამი სახისაა — ერთი ელექტრონული, ორიც მექანიკური. ასეთი სამუხრუჭე სისტემა მაღალსაიმედოა და ყოველ საფრთხეს გამორიცხავს. რა მოხდა სინამდვილეში საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტზე, ამას ფორალელბერგელი სპეციალისტები გაარკვევენ.

„Die Presse“ (ავსტრია)



## საზღვრის კედლის მშენებლობისთვის 1.5 მილიარდი დოლარი გამოიყო



**თავდაპირველად დონალ ტრამპის ადმინისტრაციამ მექსიკასთან საზღვრის მშენებლობისთვის 25 მილიარდი დოლარი მოითხოვა. თუმცა, აშშ-ს კონგრესი 1,5 მილიარდ დოლარზე ცოტა მეტს გამოყოფს, რაც 15-ჯერ ნაკლებია მოთხოვნილ თანხასთან შედარებით, რომელსაც გეგმავდნენ დაეხარჯათ კედლის აღმართვაზე.**

**რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ გაცემული თანხით აშენდება 144-კილომეტრიანი „ფიზიკური ბარიერი“ სანაცვლოდ დაბალი ბარიერისა. ამასთანავე, დემოკრატებმა განაცხადეს, რომ თანხები არ მიიმართება დიდი ბეტონის კედლების აშენებისთვის, როგორც აშშ-ს პრეზიდენტი თავდაპირველად დაგვპირდა. ცნობისთვის, მექსიკის საზღვართან კედლის მშენებლობა იყო დონალდ ტრამპის ძირითადი წინასაარჩევნო დაპირება. ამასთანავე, ტრამპი დარწმუნებულია, რომ მექსიკელები თავად გადაიხდიან ღობის საფასურს.**

## „დადანაშაულებული ვარ ყველანაირი მტკიცებულებების გარეშე“...



**საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი აცხადებს, რომ ბრალდება, რომელიც მას წაუყენეს 2007 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დაფინანსების საქმესთან დაკავშირებით, არაა გამყარებული მტკიცებულებებით. „მე დადანაშაულებული ვარ ყველანაირი სამხილების და მტკიცებულებების გარეშე“, — განაცხადა სარკოზიმ 48-საათიანი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ.**

**ყოფილმა პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა სასამართლოს მისთვის მოწმე-ეჭვმიტანილის სტატუსი მიენიჭებინათ — წერს გაზეთი. ესეთი სტატუსი სპეციფიკურია ფრანგული სამართლის პრაქტიკაში: ეჭვმიტანილი ერთვება საქმეში როგორც მოწმე, თუმცა შესაძლოა, დადანაშაულდეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. ცნობისთვის, 20 მარტს საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი პარიზის გარეუბანში დააკავეს. არსებული ინფორმაციით, მისი დაკავება 2007 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დაფინანსების საქმესთან დაკავშირებით მოხდა. ფრანგული მედიის ცნობით, ყოფილმა პრეზიდენტმა უკანონო დაფინანსება ლიბიის ყოფილი ლიდერისგან მუამარ კადაფისგან მიიღო. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, თუმცა გამოძიება გრძელდება.**

სულთათანა

# მიხეილ ოსაძე – კაცობისა და მეგობრობის გენერალი



23 მარტს ჩვენი დიდი მეგობარი მიხეილ ოსაძე 75 წლის გახდებოდა, მაგრამ 2010 წლის 4 დეკემბრის სუსხიან დღეს იგი უხმაუროდ, ყოველგვარი სიკვდილისწინა პანიკის გარეშე წავიდა ამქვეყნიდან და მისმა სულმა სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა.

რა ჩქარა გარბის დრო!.. უდიდესი ბრძენკაცი ყოფილა ჩვენი ის შორეული წინაპარი, რომელსაც პირველს გამოუყენებია სიტყვა „წუთისოფელი", რამეთუ მართლაც წუთიერია ადამიანის ამქვეყნად არსებობა. საზოგადოების მიერ იგი მხოლოდ იმით ფასდება, თუ როგორ იცხოვრა მან ამ მოკლე პერიოდში, რისი გაკეთება შეძლო, რითი დაამახსოვრა თავი იმ ადამიანებს, ვისთანაც მას ურთიერთობა უხდებოდა.

ჩვენ, მიხეილ ოსაძის მეგობრებს, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, ვისაც მასთან რაიმე შეხება და ურთიერთობა ჰქონია, დიდხანს ემახსოვრებათ იგი, როგორც ერთგული, გულისხმიერი, ყურადღებიანი და გაჭირვებაში მყოფ ადამიანთა მხარში მდგომი პიროვნება. ეს იყო კაცი, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე, ოჯახზე, ახლობლებსა და მეგობრებზე. ეს იყო პიროვნება, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე და ყველა იმ საქმისადმი, რომელსაც მას მიანდობდნენ ამა თუ იმ ეტაპზე.

ზემოთ აღნიშნულის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, როცა საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც სპეტაკმა, მიუკერძოებელმა, სამართლიანმა და უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალმა. ამ კომისიის მიერ შესწავლილმა და მიღებულმა გადაწყვეტილებებმა რეზონანსულ საქმეებთან დაკავშირებით, რომელშიც ფიგურირებდნენ სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მაღალი თანამდებობის პირები, კომისიის თავმჯდომარის ავტორიტეტი იმდენად გაზარდა, რომ საზოგადოებაში ბუნებრივად გაჩნდა მოთხოვნილება ამ კომისიისათვის დაერქმიათ „ოსაძის კომისია". კომისიის არსებობის მანძილზე, ხშირად სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდნენ მას, როგორც საინფორმაციო საშუალებები, ასევე ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები.

სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენ გვერდით აღარ არის კაცი, რომელიც ასე სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას, საზოგადოებას, ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

მიხეილ ოსაძემ ყოველმხრივ სამაგალითოდ და ღირსეულად იცხოვრა.

ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, ძალზე მძიმე და ძნელია წარსულ დროში მოვიხსენიოთ მიხეილ ოსაძე, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ღვთის ნება. დადგება დრო და ჩვენც, მისი მეგობრები, თანდათანობით, რიგრიგობით გავიკრიფებით ამ წუთისოფლიდან და გადავსახლდებით იმ სამყაროში, სადაც დღეს ჩვენი ძმისა და მეგობრის, ჩვენი მიშიკოს სულია დავანებული.

უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ჯუმბერ პატიაშვილი, ელიზბარ ლომინაძე, ლაური მანაგაძე, კოტე ყოფიანი, ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, დავით ზეიკიძე, პეტრე ბერაია, თენგიზ კალანდაძე, გურამ გუნავა, სპარტაკ ქოზულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, ნოდარ ზაზაძე, ბესო კილასონია, გურამ ყურაშვილი, რომა ღვინიაშვილი, მურიკო თოფურიძე, თენგიზ ქავთარაძე, ჯემალ კანდელაკი, ლაერტ ზუბადალაშვილი, სულხან ლომინაძე, ირაკლი ყულჯანიშვილი, თემურ კალანდაძე, ვახტანგ კიკნაძე.**

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (SLRPII)**
განმახორციელებელი უწყება: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P122204**

კონტრაქტის № **SLRPII/CS/CQS-07**
გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია: **შპს საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია**
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **21 თებერვალი, 2018**
შერჩევის მეთოდი: **CQS -კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევა**
კონტრაქტის ღირებულება: **192,222.00 ლარი**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **18 თვე (დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის ჩათვლით)**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების ზედამხედველობა (I ლოტი და II ლოტი)**

## CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**
Project Implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project number: **P122204**
Contract Reference No: **SLRPII/CS/CQS-07**

Awarded Firm: **Roads Rehabilitation and Modernization Supervision Direction Ltd.**
Contract Signature Date: **February 21, 2018**
Method of Selection: **CQS – Consultants' Qualification Selection**
Contract Price: **GEL 192,222.00**
Duration of Contract: **18 Months (including Defects Liability Period)**
Scope of Contract: **Supervision of Works for Small – Scale road Safety improvements in imereti, guria, samegrelo-zemo svaneti and kvemo kartli regions (Lot 1 and Lot 2)**

შემთხვევა

# ეშმაკს არ სძინავს




**ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალზე: „მერსედესის" მარკის ავტომანქანა შავშვების მონაკვეთზე ბორდიურს შეეჯახა და ამოტრიალდა.**

მანქანაში ფოთის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ფეხბურთელები იმყოფებოდნენ. შემთხვევის შედეგად მანქანის მძღოლი გარდაიცვალა, 6 მგზავრი კი დაშავდა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა 3 მათგანი — გორის სამხედრო ჰოსპიტალში, 3 კი კლინიკა „გორმედში" გადაიყვანეს. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო.

კრიმინალი

# მამუკა გამყრელიძე კახიძის მკვლელობაზე

ეს ადამიანი მიზანდასახულად მოვიდა ნუგზარ კახიძის მოსაკლავად, — ამის შესახებ ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე მოკლული ნუგზარ კახიძის ოჯახის ახლობელმა მამუკა გამყრელიძემ „პალიტრანიუსის" ეთერში გადაცემა „360 გრადუსში" განაცხადა. გამყრელიძე ამბობს, რომ ის არ იყო კახიძის ბიზნესსაქმიანობაში ჩახედული, თუმცა, იცის, რომ რაღაც დავა იყო.



**„ეს ადამიანი არ მოსულა რაღაცის მოსაპარად, წასაღებად ან ვინმეს შესაშინებლად. ეს ადამიანი მიზანდასახულად მოვიდა ნუგზარ კახიძის მოსაკლავად, ესროლა მას 7-ჯერ და წავიდა.**

**ნუგზარ კახიძის ბიზნესსაქმიანობაში არ ვიყავი ღრმად ჩახედული. ყოფითი თვალსაზრისით ნუგზარი იყო აბსოლუტურად მშვიდი, გაწონასწორებული და ძალიან კეთილმოსურნე ადამიანი. ვიცი, რომ რაღაც დავა იყო",** — განაცხადა მამუკა გამყრელიძემ.

# ქობულეთში მესამეკლასელ ბავშვს „ლურჯი ვეშაპის" თამაშში ჩართვას აძალებდნენ

**ქობულეთში, სოფელ ლეღვას საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლის მშობლების ინფორმაციით, მათ შვილს მობილურ ტელეფონზე უცხო ნომრით ურეკავდნენ და „ლურჯი ვეშაპის" თამაშში ჩართვას აძალებდნენ.**



ამასთან დაკავშირებით, შსს-მ გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. როგორც უწყებაში აცხადებენ, გამოძიება განცხადების საფუძველზე დაიწყო. სავარაუდოდ, სამინისტროს გამოძიების მოთხოვნით არასრულწლოვანის ოჯახმა მიმართა.

## განცხადება

2018 წლის 18 აპრილს დღის 11 საათზე გაიმართება ჩოხატაურის სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის" აქციონერთა საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის" 2017 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და წლიური ბალანსის განხილვის შესახებ;
2. განცხადებების განხილვა;
3. სხვადასხვა.

**მისამართი:** ჩოხატაური, დუმბაძის ქ. №51.

**სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის" სამეთვალყურეო საბჭო.**

◎ სუმო

# ამ მოგებას სხვა ფასი აქვს!



**ტოჩინოშინმა ოსაკაში მიმდინარე ჰარუ ბაშოზე იოკოძუნა კაკურიუს პირველი მარცხი აგემა. სეკივაკეს წოდებით მოჭიდავე ლევან გორგაძემ მე-12 ტურის დამაგვირგვინებელ ბრძოლაში მრისხანე მეტოქე დოჰიოდან გადაიყვანა, მე-8 ქულა მოიპოვა და საბოლოო დადებითი ბალანსი — კაჩიკოში გაინაღდა.**

სუპერტურნირის დასრულებამდე 3 ტურით ადრე ქართველი სეკიტორის ანგარიშზე 8 მოგება და 4 წაგებაა. ტოჩინოშინი იმპერატორის თასის ზედიზედ მეორედ მოპოვების თეორიულ შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს. დღეს მისი მეტოქე მეოთხე მაეგაშირა შოდაი იქნება, რომელსაც მიმდინარე ბაშოზე 6-6 მოგება და წაგება აქვს. ურთიერთშეხვედრებშიც უპირატესობა გორგაძის მხარესაა — 5:2.

რანგით მეორე, ჯურიო ლიგაში მოჭიდავე გაგამარუს შიკონათი ცნობილ თეიმურაზ ჯუღელსაც შეეძლო, გუშინვე გაენაღდებინა კაჩიკოში, მაგრამ წააგო და ბაშოს 7:5 ბალანსით აგრძელებს.

**კობა კობახიძე**

◎ ლეგიონერი

# 1000-ქულიანი მიჯნა დაძლეულია!

**ევროლიგის 27-ე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა და პლეიოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა „სასკი ბასკონიამ“, რომელმაც საკუთარ მოედანზე გერმანული „ბამბერგი“ უშანსოდ — 103:79 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო „ბასკონიას“ ზედიზედ მეოთხე მოგება ყველაზე პრესტიჟულ კონტინენტურ ტურნირში.**



სასიხარულოა, რომ თითქმის სამკვირიანი უქმობის შემდეგ ტრავმა მოიშუშა და მოედანს დაუბრუნდა თორნიკე შენგელია. ესპანელთა ქართველი კაპიტანი არც სასტარტო ხუთეულში ყოფილა და არც დიდხანს დაუტვირთავს მთავარ მწვრთნელს, რაც ბუნებრივია.

თორნიკემ 12 წუთში 11 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. საგულისხმოა, რომ შენგელიამ უშეცდომოდ ითამაშა შეტევაში: 2-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 სამქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, მარგი ქმედების კოეფიციენტმა კი 18 შეადგინა, რაც მთლიანად შეხვედრაში მესამე შედეგი აღმოჩნდა.

„ბასკონიას“ 14 მოგებითა და 13 წაგებით მერვე ადგილი უკავია, რაც პლეი-ოფის საგზურის მომტანია, რეგულარული სეზონის დასრულებამდე კი სამი ტურია დარჩენილი. ბასკები მომდევნო მატჩს 24 მარტს სტუმრად „ბარსელონასთან“ გამართავენ.

„ჯვაროსანთა“ ერთ-ერთ ლიდერს ამჟამად ევროლიგაში 1006 ქულა აქვს ჩაგდებული და ამისთვის 92 თამაში დასჭირდა (საშუალოდ მატჩში 11 ქულა).

საერთოდ, ქართველი ევროლიგაში მეხუთე სეზონს ატარებს და მისი სტატისტიკა ასეთია:

თამაში — 92, ქულა — 1006 (11), ორქულიანი — 313/587 (53.3%), სამქულიანი — 46/129 (35.7%), ჯარიმა — 242/326 (74.2%), მოხსნა — 456 (5), ჩაჭრა — 64 (0.7), დაფარება — 45 (0.5), პასი — 127 (1.4).

აქვე შეგახსენებთ, რომ თორნიკე შენგელიას ევროლიგაში დებიუტი 2011-2012 წლების სეზონში ბელგიური „შარლერუას“ რიგებში ჰქონდა. შემდეგ იყო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია, ხოლო ევროლიგას 2014-2015 წლების სეზონში ესპანურ „ლაბორალში“ დაუბრუნდა, 2016 წლიდან კი, „ბასკონიას“ მაისურით თამაშობს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ თაობა

# ღირსეული სტარტი

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის პირველ ტურში მასპინძელ პოლონეთთან 2:2 ითამაშა.**

გიორგი ნემსაძის გუნდი ორჯერ დაწინაურდა მატჩის მიმდინარეობისას — ზურაბ დავითაშვილმა ორივე პენალტი ზუსტად შეასრულა. მეტოქემ წესები ჯერ ხვიჩა კვარაცხელიას წინააღმდეგ დაარღვია, მერე კი გიორგი გულიაშვილი წააქცია მეკარემ.

მეორე ტაიმში წნეხი იმანაც გაზარდა, რომ ივანე გელაშვილმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მინდვრიდან გააძევეს.

მეორე ტურში საქართველოს ნაკრები ირლანდიას დაუპირისპირდება, რომელმაც სტარტზე მაკედონიას 3:0 აჯობა.

პოლონეთთან შემადგენლობა ასეთი იყო: ხარშილაძე, გელაშვილი, ნონიკაშვილი, მექვაბიშვილი, აზაროვი (კალანდაძე 5), ჩოთალიშვილი (ჭინჭარაული 55), ტალახაძე, მესიაჩენკო, დავითაშვილი, კვარაცხელია, გულიაშვილი (ჯანგველაძე 79).

**გიორგი შოთაძე**

# ჭორიკნობის „ინდექსი“



**მამაკაცები ქალებზე მეტს ჭორაობენ.**

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიურად ქალები საშუალოდ 52 წუთს ჭორაობენ, მამაკაცები — 76 წუთს, ამასთან მამაკაცების 30 პროცენტმა აღიარა, რომ მათ მოსწონთ სამსახურში კოლეგებთან სხვა ხალხისა და მიმდინარე მოვლენების განსჯა, 58 პროცენტმა კი განაცხადა, რომ ჭორაობა მათ საშუალებას აძლევს, თავი კოლექტივის ნაწილად იგრძნონ.

# ფული და... ბედნიერება



**თურმე ადამიანს ბედნიერს ის მოგება ხდის, რომელიც მის შემოსავალს არა უმეტეს ორ-სამჯერ აღემატება.**

ინგლისში ის ხალხი გამოკითხეს, ვინც სხვადასხვა ლატარიაში მთავარი პრიზი მოიგო. გამოკითხულთა 50 პროცენტმა აღიარა, რომ დიდი თანხის მოგებამ ისინი მარტოსულები გახადა, დანარჩენმა 50 პროცენტმა კი განაცხადა, რომ სიმდიდრეს მათ ცხოვრებაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

# უხორცობის საფრთხე



**ვეგეტარიანელობა შესაძლოა, ფსიქიკისთვის სახიფათო იყოს.**

მათ, ვინც ხორცს არ მიირთმევს, „მშვიდობის მოყვარულებად“ მიიჩნევენ. მაგრამ, ეს თურმე მხოლოდ მათ მიმართაა სამართლიანი, ვინც ცხოველური წარმომავლობის საკვებზე უარს პერიოდულად ამბობს.

მეცნიერთა ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ ცხოველურ ცილებს მოკლებულ ადამიანთა 30 პროცენტი საგანგაშო ნერვულ აშლილობებს უჩივის, ვეგეტარიანელთა 20 პროცენტი კი გამუდმებულ დეპრესიაშია.

# ...ბროწეულის წვენი და...

**საუკეთესო სასიყვარულო სასმელი... ბროწეულის წვენი ყოფილა.**

შოტლანდიელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მოხალისეებს, ვინც ყოველდღიურად ჭიქა ბროწეულის წვენს სვამდა, ტესტოსტერონის დონე, რომელიც ინტიმური სიახლოვის სურვილს აღძრავს როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში, 16-30 პროცენტით მატულობდა.



გარდა ამისა, ბროწეულის წვენი აუმჯობესებდა გუნება-განწყობასაც, რასაც პაემნების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

# ტუნისური ოქროს თევზი



**პატარძლობა ტუნისში ნამდვილად მძიმე ტვირთია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით: ქორწილის დღეს მას სულ მცირე, სამი კილოგრამი სამკაული უნდა ამშვენებდეს — სწორედ ამდენი ოქრო უნდა მიართვას მას საქმრომ.**

კიდევ რამდენიმე კილოგრამს იწონის ტრადიციული სამოსი, რომელიც ოქროს ძაფითაა მოქარგული. საიუველირო სამშვენისების დეკორის მოტივები საკრალური შინაარსისაა, მაგალითად, ნახატი **ხამსა** — „ღმერთის ხელი“ — ქალს ბნელი ძალებისგან და გათვალვისგან იცავს, **რვაქიმიანი ვარსკვლავი** და **თევზები** კი ნაყოფიერებას უზრუნველყოფენ.

გარდა ამისა, სამკაულები არა მარტო ავგაროზების როლს ასრულებენ, არამედ ქალის სტატუსზეც მიანიშნებენ. მაგალითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორაა განთავსებული საყურეზე ნახევარმთვარე, შეიძლება იმის თქმა, ჰყავს თუ არა მას შვილები, კერძოდ, დედები მას ქვევით დაწეული რქებით ატარებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.4320; ევრო - 2.9860;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4213;
100 რუბლი - 4.2302; თურქული ლირა - 0.6185;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4322;
1000 სომხური დრამი - 5.0635.

**ამინდი 23 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +16 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე | +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე | +17 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე | +16 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge